სპორტული

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 მაისი 2004 №111 (2130) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტ ჯორჯიამ დიდი ნაბიჯი და დინამო გადადგა

I–VI ადგილები

სიონი	9	5	3	1	13:5	38
ვიტ ჯორჯია	9	5	2	2	9:3	38
დინამო	9	3	3	3	13:9	37
თბილისი	9	3	5	1	12:7	32
ლოკომოტივი	9	1	5	3	6:10	25
დილა	9	0	2	7	1:20	19

ბოლო ტური
22 მაისი

ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
დილა – დინამო
თბილისი – სიონი



ბადრი ჯიმლელაძის ფოტო

22 მაისს თბილისში ივო შუშაკი ჩამოდის

ფოტო ფეოფანე ფარაჯიანოვისა

ბრაიკოვიჩი თუ ედმუნდოვიჩი?

კალათბურთის ფედერაცია ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს

სპორტში ასეა: თუ მწვრთნელი თამაშებს ვერ იგებს, ის უნდა შეიცვალოს. სხვა საკითხია, რომ, ვთქვათ, ამერიკაში ეს პროცესი ნაკლებ მტკივნეულია.

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ხორვატი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი ჯერ საერთაშორისო დონის საქმეში არ გვინახავს, მაგრამ კარგად ვნახეთ საქართველოში — აქ ის არცთუ იშვიათად აგებს... საქართველოს კალათბურთის მესვეურებს დაფიქრების საკმარისზე მეტი საბაბი უჩნდებათ — საცაა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კარს მოგვადგება და იქ ნაკრების კიდევ ერთ მარცხს ქართული კალათბურთი იოლად ვერ გადაიტანს. დრო არ იცდის, გამოსავალს ძიება სჭირდება.

ფედერაციის ხელმძღვანელებიც ეძებენ... მწვრთნელს. ჰორიზონტზე კვლავ დაილანდა ჩვენი ძველი ნაცნობი, ამჟამად მოსკოვის ცსკა-ს მეორე მწვრთნელი პაველ გოოგე, რომელიც ჯერ კიდევ ბრაიკოვიჩის გამოჩენამდე გახლდათ ნაკრების თავკაცობის კანდიდატი და ჩვენს ფედერაციას მასთან კავშირი დღემდე არ გაუწყვეტია.

თბილისიდან არაერთხელ დაუკავშირდნენ ცსკა-ს ხელმძღვანელებსო — გვეუბნება გოოგე. პაველ ედმუნდოვიჩს ჭკვიან კაცად ვიცნობთ და იგი საღადაც აფასებს ჩვენში შექმნილ სიტუაციას — „საქართველოს ნაკრებს ახლა იმხელა პოტენციალი აქვს, რომ მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, კარგ პირობებში მოემზადოს. ხოლო ნაკრებს ბრაიკოვიჩი გაწვრთნის თუ ვინმე სხვა, ნაკლები ყურადღება უნდა დაუთმოთ. დაინტერესეთ კალათბურთით ქვეყნის მთავრობა და პრეზიდენტი. საქართველოს ნაკრებს იმის უნარი შესწევს, ქართველი ხალხი გაახაროს.“

ივო შუშაკი 22-ში თბილისში ჩამოვა

პატარკაციშვილს აუცილებლად შევხვდები. დინამოში დაბრუნებას არ გამოვრიცხავ

15 მაისის აღმასკომის შემდეგ „დინამოში“ თითქოს სული მოითქვეს, განტევების ვაცად ცაცა შელია გამოჩნდა და ჯერჯერობით მთელი სკანდალი მას გადაატყდა. მაგრამ გუშინ „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაში და 1:3 იყო...

ეს წაგება და, გუშინვე კულუარებში ჩურჩული და ცოტა მეტიც დაიწყო. პატარკაციშვილი „დინამოს“ დირექტორებს ჩემპიონობის დაკარგვას ალბათ არ აპატიებს და ელოდეთ სიახლეებსო. ახლა გაიხსენებენ „თბილისთან“ მატჩს მოყოლილ სკანდალს, წამყვანი ფეხბურთელების გაშვებას და, რაღა თქმა უნდა, ივო შუშაკს, რომელიც 22 მაისს ჩამოდის თბილისში და იქნებ კარგა ხანსაც არ წავიდესო. ხორვატ მწვრთნელს გუშინ ზაგრებში შევეხმიანეთ...

გუშინ დელეგაციაშვილის ფოტო

— „დინამოს“ წაგებამ ძალიან დამწყვიტა გული. სატელიტზე ქართული არხები გამეთიშა და „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის ამბებს დრაჟენ ბრაიკოვიჩის მეშვეობით ვიგებდი. ის ჩემი თხოვნით უყურებდა თამაშს და ყველაფერს დაწვრილებით გადმომცემდა.

— თქვით, „დინამოს“ წაგებამ გული დამწყვიტაო. არც ახლა გამხელთ იმას, რამაც უფრო მეტად გატკინათ გული?

— მომიტევეთ, მე გულით ისევ დინამოელი ვარ და არ მსურს, სანამ ჩემპიონატი არ დასრულდება, ყველაფერი ხმამაღლა ვთქვა. მეშინია, ამით ისევ „დინამოს“ არ ვავნო. თუმცა, როცა თბილისში ჩამოვალ, აუცილებლად ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამხელა ზიანი მოუტანა კლუბს „დინამოს“ დღევანდელი ხელმძღვანელობის ნაჩქარევმა გადაწყვეტილებებმა.

— როდის ჩამოდიხართ თბილისში?

— 22 მაისს. ამ დროს საქართველოს ჩემპიონატი უკვე დასრულებული იქნება და მეც მშვიდად ვიტყვი ყველაფერს.

— თბილისში რომ ჩამოხვალთ, ალბათ პატარკაციშვილსაც შეხვდებით. გამორიცხავთ „დინამოში“ თქვენს დაბრუნებას?

— ბატონ ბადრის აუცილებლად შევხვდები. რას შემომთავაზებენ, არ ვიცი, თუმცა არც დაბრუნებას გამოვრიცხავ. ყოველ შემთხვევაში, მე მზად ვარ.

დავით ერაძე



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად, როგორც მოსალოდნელი იყო, ვახტანგ კოპალეიშვილი დაინიშნა. მოსალოდნელიო, კი ვთქვით, მაგრამ შაბათამდე, ფედერაციის აღმასკომის სხდომამდე, ვერავინ ამბობდა, ჭაბუკებს სწორედ კოპალეიშვილს თუ ჩააბარებდნენ

კოპალა და ისევ ბიჭები

კოპალეიშვილს კახა ცხადაძის სახით კონკურენტი გამოუჩნდა, ვინც ფედერაციაში გავლენიანი ხალხის პროტეჟე იყო. აღმასკომზე კოპალეიშვილ-ცხადაძის დანიშვნაზე კამათი იყო, თუმც საბოლოოდ მეტი ხმა უფრო გამოცდილმა კოპალეიშვილმა მოაგროვა და 19-წლამდელებიც მას ჩაბარდა. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა ყოფილიყო — კოპალეიშვილი უკვე ორი წელია, ამ ნაკრებში მუშაობს და ზოგადად ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელობის დიდი გამოცდილებაც აქვს, მისი ხელმძღვანელობით 18-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატზეც უთამაშიათ.

— ჩემი კანდიდატურა საკამათო რატომ გახდა, ვერ გეტყვით, არ ვიცი — გვითხრა ვახტანგ კოპალეიშვილმა — უკვე ორი წელია, ამ ბიჭებთან ვარ, თითოეულის შესაძლებლობები კარგად ვიცი, ისინი ჩემს ხელში იზრდებიან. ეს ბიჭები 17 წლისანი იყვნენ, როცა მათ სერგო კუტივაძე წვრთნიდა, მას შემდეგ კი ამ ფეხბურთელებთან მე ვმუშაობ. ამას წინათ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად სომხეთშიც ერთად ვიყავით.

— თუმც მაშინ მწვრთნელის სტატუსი არ გქონდათ.

— ფედერაციის თხოვნით ვხელმძღვანელობდი ამ ნაკრებს და არ მეგონა, თუ მწვრთნელად ჩემი ოფიციალურად დანიშვნა საპრობლემო გახდებოდა.

— რაკი სომხეთი ვახსენეთ, იქ ნათამაშებზეც გკითხავთ...

— ერთი წლით უფროსებთან ერთხელ ფრედ ვითამაშეთ, მეორედ 0:1 წავაგეთ. თუმც წაგებაცაა და წაგებაც, ყველამ იცის, ქართველისთვის სომხეთში თამაში როგორი ძნელია. ახლა უკვე მწვრთნელად დანიშნული ვარ და სომხეთის იმ ნაკრებსაც თბილისში ჩამოვიყვან, ვითამაშებთ და დაინახავენ, ჩვენს 19-წლამდელებს რა შეუძლიათ.

— თქვენმა 18-წლამდელებმა ადრე ევროპის ჩემპიონატზე ითამაშეს. იგივეს გაკეთებას ამ ნაკრებითაც შეძლებთ?

— ძნელი სათქმელია, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

— მაშ, ასე გკითხავთ. მაშინდელი 18-წლამდელების გუნდის, „კოპალას ბიჭების“ რამდენიმე ფეხბურთელი ახლა ეროვნულ ნაკრებში თამაშობს. ამ ბიჭებს თუ აქვთ ეროვნულის პერსპექტივა?

— შედარება უხერხული იქნება. თუმც იმასაც გეტყვით, რომ ახლაც არანაკლებ პერსპექტიული თაობა მოდის. შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება და მაშინ გამოჩნდება ამ გუნდის ძალა. პირველი მატჩი 18 ოქტომბერს, სლოვაკეთში მასპინძლებთან გვაქვს.

კოტა ინასარიძე

კოსტავასთვის ნაკრები ამერიცაა და იმერიც

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს, როგორც იქნა, მწვრთნელი გამოუჩნდა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა, დანიშვნას თამაზ კოსტავას უწინასწარმეტყველებდნენ და ასეც მოხდა.

17-წლამდელები სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე სათამაშოდ ფინეთში გაემგზავრებიან, სადაც მათი მეტოქეები მასპინძელთა გარდა საბერძნეთის და მაკედონიის ნაკრებები იქნებიან.

თამაზ კოსტავას გუშინ შევეხმიანეთ და მილოცვის მერე მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ

— ფედერაციას თქვენი კანდიდატურის სასარგებლოდ რა არგუმენტები ჰქონდა?

— ამ ასაკის ფეხბურთელებთან უკვე ხუთი წელია ვმუშაობ და კარგად ვიცნობ. გადამწყვეტი არგუმენტიც ალბათ ეს იყო.

— თანაშემწეებად ვინ გეყოლებათ?

— თენგიზ კაცია და გოჩა ავსაჯანიშვილი. ეს უკვე გადაწყვეტილია.

— შესარჩევი ტურნირი 22 სექტემბერს იწყება, ანუ მოსამზადებლად საკმარისი დრო გაქვთ?

— ცაიტნოტში არ ვართ. როგორც გითხარით, ამ ასაკის ბიჭებს კარგად ვიცნობ და აქედან გამომდინარე სასელექციო მუშაობა დიდ დროს არ წაიღებს. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც თბილისის გუნდებში თამაშობენ, რამდენიმე დღეში შევკრებ, მერე რაიონებსაც ჩამოვივლი.

— სამუშაო გეგმა მომზადებული გაქვთ?

— რა თქმა უნდა. შეკრება, ამხანაგური მატჩები — ეს აუცილებელია. სულ ცოტა, სამი საკონტროლო თამაში გვინდა ჩავატაროთ. ამაზე და კიდევ სხვა საკითხებზე სასაუბროდ ფედერაციაში შეხვედრა მაქვს დანიშნული და დეტალებს შევათანხმებთ.

— ნაკრების ბირთვი ალბათ „ამერის“ უმცროსი თაობის ფეხბურთელები იქნებიან...

— თავის დროზე, როცა 1988 წელს დაბადებულ ბავშვებთან დავიწყე მუშაობა, ვეცადე, საუკეთესოები შემეკრიბა. დღეს მათი უმეტესობა ჩვენთან, „ამერში“ თამაშობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათგან ბევრს ნაკრებში წავიყვან. თუმცა ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ნაკრებში მხოლოდ ისინი იქნებიან. როგორც გითხარით, თბილისის სხვა გუნდებიდან და რაიონებიდანაც ვაპირებ საუკეთესო ფეხბურთელების მოყვანას.

— ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა კლუბში მუშაობაში ხელს არ შეგიშლით?

— ამაზე კლუბის ხელმძღვანელობასთან და მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძესთან, ცხადია, ვისაუბრებ. თუ სამუშაოს სწორად დაგეგმავ, შეთავსება შეუძლებელი არ არის.

— ნაკრებისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი რა იქნება?

— მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ორი შესარჩევი ეტაპია გასავლელი. ორივე ეტაპი უნდა გადავლახოთ.

კოტე კეკელია

წავიდა ხავსი, მოვიდა შანსი

ალეკო ამისულაშვილმა კიევის „დინამოსთან“ ერთად პირველი ტურნირი მოიგო. ქართველმა მცველმა ლობანოვსკის თასის ფინალში „შერიფის“ წინააღმდეგ 77 წუთი ითამაშა. ალეკო ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ დღევანდელი მატჩისთვის მთავარი გუნდის განაცხადშია.

— ახლა მთავარ გუნდთან ერთად შეკრებაზე ვარ. მიხაილიჩენკო ბოლო თამაშებში დაცვით უკმაყოფილო იყო და ცვლილებებს გეგმავს. „შერიფთან“ თამაშის წინ მითხრა, შანსი გეძლევა და გამოიყენეო.

— „შერიფთან“ თამაშისას კონკრეტულად რა დაგავალა?

— „შერიფს“ ერთი მოძრავი და სახიფათო ფორვარდი ჰყავს და თამაშიდან ის უნდა გამომითიშოო. ის მოლდოველი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს. მიხაილიჩენკომ კი მატჩის შემდეგ შემაქო და მითხრა, ერთ-ერთი საუკეთესო იყავიო.

— ლობანოვსკის ტურნირზე თბილისის „დინამომ“ ალბათ კიეველებს იმედები გაუცრუა...

— მართალია, იცოდნენ, რომ გუნდი ახალი მწვრთნელით და გადახალისებული შემადგენლობით ჩამოდიოდა, მაგრამ მაინც მეტს ელოდნენ. ესენგეს თასის შემდეგ „დინამოსადმი“ ინტერესი დიდი იყო, თუმცა გუნდმა უკრაინელთა იმედები ვერ გაამართლა.

— კიევის „დინამო“ ბურდულისა და იაშვილის შეძენით იყო დაინტერესებული. ახალი ხომ არაფერია?

— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს და არც არაფერი გამიგია. შესაძლოა, ამ ტრანსფერებზე ჩუმად მუშაობენ კიდეც.

— შენს ძირითადში დამკვიდრების შანსებს როგორ შეაფასებდი?

— რაც აქ ვარ, ასეთი შანსი ჯერ არ მქონია. მე მგონი, მიხაილიჩენკოს აზრი შეეცვალა ჩემზე და თუ ამ გუნდში შანსი მოგეცა, ხელიდან არ უნდა გაუშვა.

დავით ერაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს უმაღლესი ლიგა
ჩემპიონატი 15
მეორე ეტაპი
9 ტური

ადამიამ დინამო გაფლანგა

ვიტ ჯორჯიამ მიზანს მიუახლოვა

„დინამოს“ დაცვა პირველმა რევაზ გოცირიძემ (შუაში) გაარღვია

ბადრი კბილაშვილის ფოტოები

თბილისი. 17 მაისი. 18 საათი. ერეკლეული. 3 500 (ტევადობა 70 600)

დინამო 1:3 ვიტ ჯორჯია

0:1 გოცირიძე (27), 0:2 მარცვალაძე (29), გოცირიძე (40), 1:3 ახალაია (48)

დინამო: ზოიძე, შაშიაშვილი (მელქაძე 77), სილაგაძე, კანდელაკი, ახალაია, ხმელიძე (კაშია 44), რომერო, კანკავა (ქოქიაშვილი 46), ანჩაბაძე, იაშვილი, კაკალაძე
სათადარიგონი: გვარამაძე; გიგაური, გრიგალაშვილი, კარლოსი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი (კვახაძე 82), ვ. გოჩაშვილი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გველესიანი, ადამია (დათუნაიშვილი 73), გოცირიძე, მარცვალაძე (დეკანოსიძე 60)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ე. მერებაშვილი, ი. შენგელია, ე. შანიძე
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილებები: მერლანი (35), იაშვილი (51), კობიაშვილი (53), ახალაია (56), იმედაშვილი (57)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

კობა ინასარიძე

ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე თბილისის „დინამომ“ ჩემპიონობის შენარჩუნების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან და ამ ტიტულთან „ვიტ ჯორჯია“ უფრო მიაახლოვა. ვეტერინარებს ახლა „ლოკომოტივთან“ დარჩათ სათამაშო და თუ მათაც სძლიეს, დამატებითი საჩემპიონო მატჩი „სიონთან“ ხომ გარანტირებული ექნებათ, უკეთეს შემთხვევაში კი ჩემპიონობას იზეიმებენ.

მაშ, ასე — „ვიტ ჯორჯია“, გუნდი რომელიც ყველაზე სტაბილურად თამაშობს და მუდამ ჩემპიონის მდევრად ითვლება, სადღეისოდ სწორედაც რომ ნანატრი ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტია. „დინამო“ კი... — არა, ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ დღეს შეგვეძლო ჩემპიონობას ძალიან დავახლოვებოდით — აი, „დინამოს“ მწვრთნელის გია გეგუჩაძის სიტყვები, რომელიც ნამატჩევს თქვა. შანსი „დინამოს“ მართლაც არ დაუკარგავს, თუმც ეს შანსები იოტისხელადაა.

გუშინდელი მატჩი კი 15 წუთიან მონაკვეთში დამთავრდა: 27-ე წუთიდან ვიდრე 40-მდე „ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოს“ სამი გოლი გაუტანა.

სტუმართა თავკაცმა მასპინძელს, რომელიც მატჩამდე მეტოქეს სიურპრიზებს ჰპირდებოდა, შეიძლება ითქვას, სიურპრიზი იქით მოუმზადა. კოჭლაშვილის ჩანაფიქრი მოულოდნელი გამოდგა — „ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოს“ სამი თავდამსხმელით შეუტია. ამის შემხედვარე მასპინძელთა ნახევარმცველებს ცოტა სიფრთხილე მართებდათ, მაგრამ პირიქით კი მოხდა, ფლანგზე ხმალაძე და საყრდენი რომერო, ჩანდა, შეტევაზე მეტს ფიქრობდნენ და მათი ყურადღება უკანა ხაზს აკლდებოდა. გამოჩნდა, რომ კვირკველია „დინამოსთვის“ მარცხენა ფლანგზე მართლაც შეუცვლელია. გუშინ ის დისკვალიფიცირებული იყო და მის ნაცვლად ხმალაძე თამაშობდა. პირველი და მესამე გოლები კი სწორედ მარცხენა ფლანგიდან შეტევებით გავიდა. ჯერ იყო და, ხმალაძემ უვნებელ სიტუაციაში ბურთი აუტში მოიგერია, გათამაშებული ბურთი ადამიამ საჯარიმოში ჩააწოდა. სადაც გოცირეძემ იყოჩაღა, მცველებს დაასწრო და გაიტანა. მერე, ტაიმის ბოლოს, ისევ ადამიამ, რომელიც თავდამსხმელთაგან სწორედ მარჯვნივ თამაშობდა, ისევ მარჯვნიდან ჩაჰკიდა საჯარიმოში, მარცვალაძემ თავით გოცირიძეს დაუგდო, ამან მცველებს ტანი ჩაუდგა, ბურთი გაისწორა და ზოიძეს შორეულ კუთხეში გაუტანა. ეს „დინამოს“ კარში მესამე გოლი იყო, იქამდე კი ისევ ადამია-გოცირიძე-მარცვალაძემ იმარჯვეს, მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირეს, რაც მარცვალაძის გოლით დასრულდა. ბურთიანი ადამია ცენტრის ხაზთან შეყოვნდა, თამაშგარეში მყოფ მარცვალაძეს პასი არ მისცა, თუმც იქვე სიჩქარეაკრეფილ გაცირიძეს ბურთი მცველებს შუა გაუჭრა. გოცირიძე ზოიძესთან პირისპირ დარჩა. მას მარცვალაძე მიჰყვებოდა და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გოლი ცარიელ კარში სწორედ მან გაიტანა.

ტაიმის დამთავრებადმე დარჩენილ დროში საინტერესო და მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა, „დინამომ“ მოედანი ყერეზჩამყრილმა დატოვა.

შესვენების შემდეგ კი მასპინძლები გააქტიურდნენ, ტემპს უმატეს და ერთი, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ერთადერთი საპასუხო გოლიც მალევე გაიტანეს: ქოქიაშვილის პასი საჯარიმოში ახალაიამ მიიღო, ბურთი მკერდით გაისწორა და შეაგდო. „დინამოს“ მატჩის გადარჩენის იმედი მიეცა, მაგრამ... „დინამოს“ რეალური საგოლე მომენტი ბოლო წუთზეც შეექმნა, კაკალაძემ ცხრიანში დაუმიზნა, მაგრამ ბურთი მერლანმა კუთხურზე გადააგდო.

მერაბ კოჭლაშვილი: სასიამოვნოა, რომ ჩემპიონატში კარგი მატჩები იშვიათობა აღარაა, ყოველ ტურშია ქომაგის მოსაწონი თამაში. როცა ანგარიში 3:0 გახდა, „დინამო“ — თბილისის“ მატჩი გამახსენდა და ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც. მაშინ ხომ პირველი ტაიმის შემდეგ „თბილისი“ 2:0 იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში გუნდმა დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და „დინამომაც“ ანგარიში გაათანაბრა. ეს მახსოვდა და შესვენებაზე შეცვლა აღარ გამიკეთებია. თავდამსხმელები მეორე ტაიმის შუისკენ შევცვალე. დღეს კი ისეთი მატჩი მოვიგეთ, აწი ვალდებულებიც ვართ, ჩემპიონები გავხდეთ. „ვიტ ჯორჯია“ ამისკენ დიდი ხანია მიზანმიმართულად მიიწევს.

გია გეგუჩაძე: ვულოცავ „ვიტ ჯორჯიას“ დამსახურებულ გამარჯვებას. დღეს მათ უკეთ ითამაშეს. ზედიზედ სამმა უხეშმა შეცდომამ წაგვაგებინა. შუა ხაზში თამაში ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვსურდა. ისიცაა, რომ პირველი გოლის მერე სათამაშო დისციპლინა დაირღვა. გოგობერიშვილის გუნდიდან გაშვებას კი შეცდომად არ ვთვლი.



ბადრი კბილაშვილის ფოტო

ლადო ახალაიამ (№9) ერთი გოლი კი გაიტანა, მაგრამ „დინამოს“ წამზდარ საქმეს ამით ვერაფერი ეშველა

საუკეთესო



გიორგი ადამია

ამ შურდულივით სწრაფ თავდამსხმელს, რომელიც გუშინ მარჯვნიდან უტევდა, გოლი არ გაუტანია, თორემ სამივე საგოლე შეტევა სწორედ მისი წამოწყებული იყო. მარცვალაძის გოლამდე კი გოცირიძეს ისეთი გონივრული პასი მისცა, ქომაგი სასიამოვნოდ გაყვირვებული დატოვა. ადამიასთან ერთად, რა თქმა უნდა, დუბლის გამეკეთებელი გოცირიძეც გამოსარჩევია და მესამე თავდამსხმელი მარცვალაძეც, თუმც ამ ჯერზე, ვფიქრობთ, საუკეთესოობა ადამიამ უფრო დაიმსახურა. და კიდევ, მწვრთნელი კოჭლაშვილიც არ დავივიწყოთ, „დინამოს“ თავდამსხმელთა ტრიო რომ დაუპირისპირა და ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო.

ბადრი ბერიძის ფოტო

„ვიტ ჯორჯიას“ სიხარული უსაზღვროა: ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯია

ვულოცავ ვიტ ჯორჯიას

ვის გზას აყრის რკინიგზა?

 თბილისი. 17 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 25 600)

ლოკომოტივი 1:1 თბილისი

0:1 ფიფია (29), 1:1 ვაშაკიძე (39)

ლოკომოტივი	თბილისი
ლოკომოტივი: მამალაძე, ი. ვაშაკიძე, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, გ. ონიანი, სანიკიძე, ძამსაშვილი (მორჩილაძე 46), მანწკავა, სახვაძე, გ. ვ. მიქაძე (დ. დოლიძე 90), გოგინაშვილი (გაგუა 62) *სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; ზამთარაძე, სოსელია, დათვაძე	თბილისი: გრიშიკაშვილი, მიქიაშვილი, დ. ოდიკაძე (მიკუჩაძე 87), ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, გოგიტა გოგუა (დოლიძე 70), ხოჯავა, გ. ნუგ. ჭელიძე, გეწაძე (ჯიქია 58), აფციაური, ფიფია *სათადარიგონი:* ნაჭყეპია; მესხი, მ. ტყებუჩავა
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე	მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

გაფრთხილება: მანწკავა (24)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

დავით თავართქილაძე

„**შედეგი** ლოგიკურია. რამდენიმე დღის წინ კი ისეთ დღეში ვიყავი, ისიც ვიფიქრე, აქვს კი აზრი ამდენ შრომას. უმსგავსობები ყველაფრის სურვილს აკარგვინებს კაცს. ჩემმა ასეთმა განწყობამ კი ფეხბურთელებზეც იმოქმედა, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გადავლახავთ. მსურს, დღევანდელი გამარჯვება მივულოცო „ვიტ ჯორჯიას". თუ ვინმე ჩემპიონობას იმსახურებს, პირველ რიგში ეს „ვიტ ჯორჯიაა" — აი, ასეთნაირად თქვა სათქმელი „თბილისის" დამრიგებელმა გიორგი დევდარიანმა და, როგორც ჩანს, წინა ტურის „თბილისი" — „დინამო" ჯერაც არაა დამცხრალი ამბავი.

„ვიტ ჯორჯია" კი ბოლო ტურში „ლოკომოტივს" მასპინძლობს და რკინიგზელთა გუნდის თავკაცმა დევდარიანის სიტყვამდე თქვა, ჩვენ არავის არაფერს არ დავუთმობთო. სვანაძემ ისიც დასძინა, რომ თავისი ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილია და მათ მადლობაც გადაუხადა.

უმოტივაციო „ლოკომოტივმა" მართლაც დაიცვა ფეარ პლეის პრინციპები, რაც მათ ბოლო ტურშიც მართებთ „ვიტ ჯორჯიასთან". გუშინ კი „ლოკომოტივი" მეტოქეს ტოლ-სწორად ეთამაშა და „თბილისი" ახლა ოდენ ინტერტოტოს საგზურს თუ შესწვდება.

„თბილისმა" მყის შეუტია. მასპინძელთა საჯარიმოში შეჭრილი რევაზ გეწაძე ამაოდ დაშვრა — მახვილი კუთხიდან ზურაბ მამალაძეს ვერ აჯობა. რკინიგზელბმა პასუხი არ დააყოვნეს — გიორგი მიქაძემ ცენტრიდან დაურტყა კარიდან ოდნავ წინ გამოსულ სოსო გრიშიკაშვილს, მაგრამ ბურთი ზედ ხარიხასთან დაეშვა ბადეზე.

სტუმრები ჩვეულ სტილში ცდილობდნენ „ლოკომოტივის" გატეხვას — მოკლე, მოხდენილი პასები მოედნის ცენტრში „თბილისს" რამდენჯერმე გამოუვიდა, დევდარიანის გუნდი გადამწყვეტი დარტყმისთვის თითქოს თანდათან ემზადებოდა და მოსახდენიც მოხდა — გოჩა ხოჯავამ ჩინებული პასი შეასრულა და გოგა ფიფიამ ბურთს ზუსტი თავური შეაგება — 0:1.

გავიდა ათი წუთი და არჩილ სახვაძემ ის დრო გაიხსენა, დინამოელობის დროს ერთ-ერთ საუკეთესო მეკუთხურედ რომ ითვლებოდა ჩვენს ჩემპიონატში — ახლო ძელთან ჩააბზრიალა ბურთი და ირაკლი ვაშაკიძემ ის თავით გადაგზავნა „თბილისის" კარში.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში „თბილისმა" სისწრაფეს და სიხისტეს ოდნავ ემატება, მაგრამ აქედან ყველაფერი გამობდინ ლოკომოტიველთაგან სასარგებლო შედეგი გაჩნია. მაგრამ კუთხურიდან ეს გრიშიკაშვილმა არ დაანება — შორეული ძელიდან ახლოსკენ გაფრინდა და ბურთი მოიგერია. ერთხელ მამალაძესაც მოუწია გარჯამ, როცა დავით ოდიკაძის დარტყმულს გადაელობა. „თბილისი" უნიათო შეტევებს აგრძელებდა, „ლოკომოტივმა" კი კონტრშეტევებისას სივრცეები კარგად ვერ გამოიყენა, თორემ სამ ქულასაც გამოჰკრავდა ხელს.

ირაკლი ვაშაკიძემ საგოლე თავური მუხლჩახრილმა შეასრულა

მაგრამ დოლიძეს ფოტო

ბოლნისი. 17 მაისი. 18 საათი. თამაზ სტეფანია. 1 000 (ტევადობა 3 000)

სიონი 2:0 დილა

1:0 სვანიძე (26), 2:0 შენგელია (57)

სიონი	დილა
სიონი: ა. ლაბაძე, ჭიჭვეიშვილი, ბაქრაძე, ბურნაძე, გილაური (კ. ალადაშვილი 85), სვანიძე, სიჭინავა, რ. ონიანი (ა. უგრეხელიძე 90), გაბისკირია, გონჩაროვი, გ. შენგელია (თ. უგრეხელიძე 66) *სათადარიგონი:* შეყლაშვილი; გ. დოლიძე, ე. გვასალია, დარსანია	დილა: სოღოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ხანიშვილი (მალანია 67), ლ. გოჩაშვილი, ლაცაბიძე, საყვარელიძე (ბ. შელია 82), რაზმაძე, მასურაშვილი (ოლჯესაშვილი 58), სულთანაშვილი, ბ. ჩიტაია *სათადარიგონი:* ილურიძე; ხაჭაპურიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე	მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: ბაქრაძე (43)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ბუტიაობა

ხალხმა ვოლკოვს ორი ქულა მოჰკითხა

ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან

მასპინძელთა ძირითადი მეკარე თემურ ვოლკოვი გუშინ განაცხადში არ იყო. „სიონის" ზოგიერთი ქომაგის ვერსიით, ვოლკოვი გუნდის გულშემატკივრებს ემდურის.

წინა ტურში, „ლოკომოტივთან" ლამის ცენტრიდან გაშვებული გოლის გამო მეკარეს ტრიბუნებიდან გაუწყრნენ და ისიც ამიტომ არ ჩამოვიდა „დილასთან" მატჩზეო. ის რომ არ გაეშვა, ახლა ორი ქულით მეტი გვექნებოდაო.

ასე ლაპარაკობდნენ ბოლნისში, მაგრამ ნამატჩევს „სიონის" მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ქომაგთა ვერსია უარყო. მან თქვა, რომ ვოლკოვს თითი სტკივა და იგი ბოლო ტურში „თბილისთან" აუცილებლად ითამაშებს.

ვოლკოვის შემცვლელმა ავთანდილ ლაბაძემ გულშემატკივრები გვარიანად ანერვიულა, თუმც ორჯერ ტრიბუნებს ტაშიც მოსწყვიტა.

მასპინძლები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, როცა საბა სულთანიშვილმა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა. გორელი ნახევარმცველი საჯარიმოს გარეთ გამოსულ და დაბნეულ მეკარეს გასცდა, მაგრამ სულთანიშვილს მცველი დაეწია. გორელმა ბურთი ცაციაზე სანამ მოირგო, ორი ბოლნისელი უკვე ლაბაძის ნაცვლად დადგა კარში, „დილას" მოთამაშემ კი მცველთან ჯაჯგურში თორმეტიოდ მეტრიდან ბურთი ჩარჩოს ააცილა.

უკეთესი მომენტი ჰქონდა ბექა ჩიტაიას პირველი ტაიმის შუაში, ანგარიშის გახსნამდე. „სიონის" მეკარემ ბურთი თანაგუნდელს უშნოდ გაუგორა და საჯარიმოში მოხეტიალე ჩიტაიას ჩააბარა. დილელი ასეთ საჩუქარს არ ელოდა, იქვე მყოფმა მცველმა კი ფორვარდს კარში დარტყმისას ხელი შეუშალა.

მასპინძლებმა საგოლე ეპიზოდების სიუხვით სტუმრებს ვერ აჯობეს, მაგრამ სასურველ შედეგს ორი ზუსტი დარტყმით მიაღწიეს.

ჩემპიონობის მსურველი „სიონი" უტევდა, ოღონდ უკბილოდ, რადგან თავდამსხმელები სახეიროს ვერაფერს ქმნიდნენ.

პირველ ტაიმში ბოლნისელებმა მსაჯისგან სამჯერ მოითხოვეს პენალტი. ერთხელ გონჩაროვის წაქცევისთვის, ხოლო მეორედ გორელს ბურთი მკერდზემიწყობილ ხელებში მოხვდა და ატყდა წიოკი ტრიბუნებზე. ვიღაცა მოედანზე მსაჯისკენ იწევდა, მაგრამ დააცხრეს.

მესამედ ბაქრაძე წაიქცა და პენალტის მონადირება სცადა, მაგრამ თაღლითობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. ეს ტაიმის მიწურულს მოხდა, მანამდე კი საგოლე კომბინაცია მარცხენა ფლანგიდან ბაქრაძემ დაიწყო. კუთხურის გათამაშების შემდეგ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, ჭიჭვეიშვილმა თავით დაუგდო სვანიძეს და მანაც მცველთაგან დაფარულ მეკარეს მარჯვენა დაბალ კუთხეში ღონივრად მოქნეული მარჯვენით გაუტანა.

ბექა ჩიტაიას უმალ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. იგი მასურაშვილმა ლაბაძესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ფორვარდმა სუსტად დაჰკრა და ბურთი მის ფეხებთან გამოცურებულმა მეკარემ მოიხელთა.

შესვენების შემდეგ გილაურმა გრძელი პასით გონჩაროვი სოღოლაშვილს შეჰყარა. „სიონის" მეგოლემ ბურთი კარიდან გამოსულ გორელსაც გადაავლო და კარსაც ააცილა.

მეორე. გოლი მასპინძლებმა კონტრშეტევისას შეაგდეს. ონიანმა მეტოქეს ბურთი ასწაპნა, მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა და ეულად დარჩენილმა შენგელიამ თავური დარტყმით ცხრიანში გაიტანა.

საუკეთესო

როინ ონიანი

თავისი ფლანგის ბატონ-პატრონი იყო მთელი მატჩის განმავლობაში და სწორედ მისი გამოზომილი პასით გავიდა მეორე გოლი, რომელიც ჩემპიონობისთვის მებრძოლ „სიონს" დასამშვიდებლად ძალიან სჭირდებოდა.

ოსები ქართველებს ფრანგულად მკურნალობენ

საქართველოს ნაკრებში ვლადიკავკაზის „ალანიადან" ორნი არიან გამოძახებული, ლევან გვაზავა და ვიტალი დარასელია, ფეხბურთელები, რომლებსაც თვეზე მეტია, არ უთამაშიათ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ისრაელთან მატჩში ნაკრებს ორივე დააკლდება, ყოველ შემთხვევაში, როცა მათ დავუკავშირდით, საიმედო ვერაფერი გავიგეთ. ერთადერთი, რაც სასიამოვნო ცნობად შეიძლება ჩაითვალოს, ისაა, რომ დარასელია დიდი უპირატესობით ლიდერობს „ალანიას" ფანკლუბის ვებ-გვერდის გამოკითხვას, ვინ არის კლუბის საუკეთესო შენაძენი...

ვოლგოგრადული ტრავმის მერე ლევან გვაზავა ჯერაც ვერ დადგა ფეხზე

— ამ რუსმა ექიმებმაც გადამრიეს, თითქოს ყველა საუკეთესო სპეციალისტი შემომატარეს, მაგრამ ზუსტი დიაგნოზი ვერ მითხრეს. ახლაღა გავიგე, რომ კოჭის ძვალი მქონია გაბზარული — გვითხრა დარასელიამ.

— ეს საბოლოო დიაგნოზია?

— ასეაო, ამბობენ და ესეც მახარებს, დიაგნოზის დასმა მაინც რომ შეძლეს. ეს კურბისის მიერ საფრანგეთიდან საგანგებოდ გამოძახებულმა ექიმმა მითხრა. მისი აზრით, ჩემს ფეხზე დეყენებას ერთი თვე დასჭირდება.

— კლუბს საფრანგეთში მკურნალობა ხომ არ შემოუთავაზებია?

— მითხრეს, იფიქრე და თუ თანახმა იქნები, საფრანგეთში გაგიშვებთო. ალბათ წავალ, სხვა რა გზა მაქვს?

კურბისის ფრანგმა ექიმმა ლევან გვაზავას ძუნძული აუკრძალა და თავი ტრენაჟორებში უკრა.

— ორი დღე გუნდთან ერთად დავრბოდი, მაგრამ ტერფში ყრუ ტკივილები ისევ ვიგრძენი, შემდეგ კურბისის ექიმმა გამსინჯა და მინიმუმ ერთი კვირა არ ირბინოო, მითხრა. ახლა ტრენაჟორებში, ველოსიპედზე ვარჯიში დამინიშნა.

— თამაშს როდის შეძლებ?

— ალბათ სამი კვირა კიდევ მომიწევს მსუბუქად ვარჯიში და თუ ყველაფერი კარგად იქნა, მერე ძირითად გუნდთანაც ბოლომდე დავიტვირთები.

— ესე იგი, ნაკრებს შენც გამოაკლდები?

— ძალიან კი გამიხარდა, მიწვევა რომ მივიღე, მაგრამ რა ვქნა?! მთავარია, რომ სტიმული მაქვს, ვხედავ, რომ ნაკრების კარი ღიაა და იქ მოსახვედრად ყველაფერს გავაკეთებ.

დავით ერაძე

დიდი ვერაფერიშვილი უქმეები ჰქონდათ ევროპაში მობურთალ ქართველებს. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ვერც ერთმა ჩვენებურმა ვერ შეძლო გოლის გატანა, რაც ბოლოხანს ძალიან იშვიათი რამ იყო. მიმდევრობით მივყვეთ...

ქართველებმა ევროპაში იპასიურეს

ლევან კობიაშვილს ასეთი სტაბილური სეზონი კარიერაში ალბათ არც ჰქონია. გელზენკირხენის „შალკეში“ ფეხმოკიდებულმა ქართველმა ნახევარმცველმა ოდენ ხუთი ტური გამოტოვა წლევანდელ ბუნდესლიგაში და ისიც ტრავმების გამო. სხვამხრივ, კობიაშვილი „შალკეს“ ერთ-ერთი ლიდერია და თავისი წილი სიტყვა „კაიზერსლაუტერნთან“ მატჩშიც თქვა, როცა დანიელ ებე სანდს საგოლედ უპასა. „ხუმარებმა“ კი მეტოქე 4:1 დაამარცხეს და კვლავაც ინარჩუნებენ მე-7 ადგილს.

ურიგო სეზონი არც ფრაიბურგელ ქართველებს გამოსვლიათ. ***ალექსანდრე იაშვილმა*** და ***ლევან ცქიტიშვილმა*** ბევრი გაიღეს გუნდის ლიგაში დასატოვებლად და აკი დაუფასდათ. „ფრაიბურგმა“ წლეულს 42 გოლის გატანა შეძლო და აქედან 13 ჩვენებურების ფეხით გავიდა — 9-ჯერ იაშვილმა გაიტანა, 4-ჯერ ცქიტიშვილმა. „ფრაიბურგი“ კი გუშინწინ „ჰამბურგს“ უგოლოდ დაშორდა. ქართველი ფეხბურთელები მწვრთნელმა ბოლო წუთებზე შეცვალა.

„უნიონში“ გადასვლიდან ყველაზე უხეირო მატჩი ჩაატარა ***დავით სირაძემ.*** ბერლინელები „კარლსრუეს“ 2:2 დაუზავდნენ. სირაძემ სრულად კი ითამაშა, მაგრამ გაფრთხილების მეტი ვერაფერი მოინაგრა და „კიკერმაც“ მისი თამაში ოდენ 4-იანით შეაფასა.

სენსაციის სუნი ტრიალებს ავსტრიაში. ქვეყნის განთქმული გრანდი „შტურმი“ შესაძლოა, მაქსბუნდესლიგიდან გავარდეს. გრაცელები შაბათს კონკურენტ „კერნტენთან“ 0:2 დამარცხდნენ და ახლა ბოლო ტურის იმედად არიან. „კერნტენთან“ არ უთამაშია ტრავმირებულ ***დავით მუჯირს,*** ვისაც ფეხი ასტკივდა და ვინძლო, 27 მაისს ისრაელის ნაკრებთანაც ვერ ითამაშოს, თუმც ეს ამბავი ჯერაც არაა ბეჭედდასმული.

„ტვენტემ“ ხანგრძლივი მოუგებელი სერია შეწყვიტა და ამაში, ცხადია, ***გოგა გახოკიძემაც*** შეიტანა წვლილი. ენსხედელებმა 2:0 მოუგეს „ჰერენვენს“. პირველი გოლი კი კრისტენსენმა გახოკიძის იდეალური პასით გაიტანა.

მთელი წლის ნაშრომი ლამის წყალში ჩაეყაროს დონეცკის „მეტალურგს“. ***ჯამარაულ-დემეტრაძის*** გუნდმა შინ „კრივბასთან“ 1:2 წააგო და საუეფასთასო მეოთხე ადგილს საფრთხე დაემუქრა. მეტალურგებს ახლა გვარიანი ბრძოლა მოუწევთ ამ ადგილის შესანარჩუნებლად. „კრივბასთან“ ჩვენებურებმა სრულად კი ითამაშეს, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენიათ.

მამია ჯიქიას არყოფნაში ვრონკის „ამიკამ“ გაიმარჯვა. ასე შერცხვენილი „ვიძევი“ პოლონეთში არავის უნახავს. „ამიკამ“ 6:0 გააცამტვერა მეტოქე და ახლა სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა. დაშავებული ჯიქია კი ალბათ ამ სეზონში ველარ შეეშველება თავის გუნდს.

„რეინჯერსმა“ მოგებით დასრულა პრემიერლიგა. „დანფერმლაინთან“ მატჩი „ჩაფრებისთვის“ გასეირნება არ იყო, თუმც გლაზგოელებმა მოინდომეს და სეზონი გამარჯვების ემოციებით დაასრულეს. ***შოთა არველაძეს,*** ცხადია, არ უთამაშია, ***ზურაბ ხიზანიშვილმა*** კი დაცვის ცენტრში ითამაშა და არცთუ ურიგოდ.

კახა შალამბერიძე

ლევან კობიაშვილი „შალკეს“ პირველივე სეზონში მოერგო

„კრივბასთან“ წაგებამ გიორგი დემეტრაძის „მეტალურგს“ ევროპისკენ მიმავალი გზა გაუმრუდა

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ბრეშა 4:2	0		6	0	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ლაუტერნი 4:1	90	საგოლე პასი	29	0	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰამბურგი 0:0	89	შეცვალეს	29	9	11
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰამბურგი 0:0	87	შეცვალეს	28	4	11
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	ლიუბეკი 2:2	0		28	8	7
დავით სირაძე	უნიონი	შ	კარლსრუე 2:2	90	გააფრთხილეს	11	1	17
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	კერნტენი 0:2	0	ტრავმირებულია	26	1	9
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	შ	თუნი 1:2	76	შეცვალეს	15	8	8
კოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ჰერენვენი 2:0	90	საგოლე პასი	28	3	8
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	დანფერმლაინი 3:2	0	ტრავმირებულია	16	12	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	დანფერმლაინი 3:2	90		22	0	2
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ალანია 2:1	90	გააფრთხილეს	5	0	3
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ალანია 2:1	87	შეცვალეს	8	0	3
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ალანია 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	ლოკომოტივი 1:2	0	ტრავმირებულია	4	1	10
ლევან გვაზავა	ალანია	შ	ლოკომოტივი 1:2	0	ტრავმირებულია	5	0	10
რატი ალექსიძე	როსტოვი	ს	ყუბანი 1:3	0	სარეზერვო გუნდშია	4	0	15
მამუკა ლომიძე	როსტოვი	ს	ყუბანი 1:3	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
გიორგი ლომაია	სპარტაკი	შ	ცსკა 0:2	0	სათადარიგო	0	0	8
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	ტ. მეტალურგი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
დავით ნაკანი	ტორპედო	შ	შინიკი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	ს	გაზოვიკი 1:0	0	ტრავმირებულია	3	0	12
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	გაზოვიკი 1:0	90	გააფრთხილეს	10	0	12
ედიკ საჯაია	არსენალი	ს	ნეფტეხიმიკი 1:1	90		8	0	8
გიზო ჯელაძე	სოკოლი	ს	დინამო 0:1	30	შეცვლაზე ითამაშა	8	0	3
ზურაბ ფოფხაძე	მ. კუზბასი	ს	ხიმკი 0:1	0		5	0	22
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	ხიმკი 0:1	0	ტრავმირებულია	1	0	22
ვასილ გიგიაძე	ურალანი	შ	მეტალურგი 0:0	30	შეცვლაზე ითამაშა	5	0	13
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	შ	არსენალი 1:1	22	შეცვლაზე ითამაშა	3	0	20
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	შ	კრივბასი 1:2	90		24	1	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	კრივბასი 1:2	90		23	13	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო		ტური გამოტოვა			0	0	1
ზურაბ იონანიძე	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 0:0	68	შეცვალეს	17	2	13
გია ჭანტურია	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 0:0	90		8	0	13
გიორგი იმედაძე	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 0:0	22	შეცვლაზე ითამაშა	9	1	13
კახა ჩხეტიანი	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 0:0	38	შეცვლაზე ითამაშა	10	0	13
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 0:0	0		0	0	13
გოჩა ტრაპაიძე	ვოლინი	შ	შახტარი 0:2	0	სათადარიგო	3	0	11
გელა შეყილაძე	არსენალი	ს	ვორსკლა 2:4	0	ტრავმირებულია	11	0	6
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი	ს	გიოზთეფე 2:4	90		26	0	5
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ამიკა	შ	ვიძევი 6:0	0	ტრავმირებულია	20	1	3
ფინეთი. ვეიკაუსლიგა								
გიორგი ნიკურაძე	კტპ	შ	ჰიკ 2:2	90		2	0	7
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	შ	ლოკომოტივი 1:1	87	შეცვალეს	8	0	3
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	ს	მაკედონსკა 4:3	0	ტრავმირებულია	11	1	6
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო		ტური გამოტოვა			7	3	3
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო		ტური გამოტოვა			7	2	3
გიორგი ყიფიანი	სკონტო		ტური გამოტოვა			3	0	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	ს	ვენტსპილსი 2:1	85	შეცვალეს	7	0	4
ყაზახეთი. სუპერლიგა								
კახა კვეტენაძე	ორდაბასი	შ	აკტობე-ლენტო 0:0	0	სათადარიგო	6	0	5
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	ს	სემეი 2:0	0	დისკვალიფიცირებული იყო	6	0	3
ლევან ბაჯელიძე	ატირაუ	ს	თარაზი 0:1	0	სათადარიგო	4	0	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ერნან კრესპოს „მილანში“ უნდა, იაპ სტამი კი უკვე მილანელია

მილანის ერა

ერნან კრესპო ხელფასის დაპლებას ითხოვს

„მილანმა“ ჰოლანდიელი მცველი, იაპ სტამი იყიდა. ამ ცნობაში ახალი ის არის, რომ ფაქტი, რომელსაც ყველა ელოდა, უკვე მომხდარია. იტალიის ჩემპიონის ოფიციალურ განაცხადში წერია:

— „მილანი“ აცხადებს, რომ ხელი მოაწერა კონტრაქტს იაპ სტამთან და იგი „ლაციოდან“ გადაიყვანა. იაპ სტამი დაიბადა 1972 წლის 17 ივლისს. მან „მილანთან“ ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. და ეს ხელშეკრულება ძალაში იქნება 2006 წლის 30 ივნისამდე“.

ხელშეკრულების ფინანსურ დეტალებზე არაფერს ამბობენ, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, სტამში მილანელებმა 11 მილიონი ევრო გადაიხადეს.

„კარლო ანჩელოტისთან კიდევ ერთხელ თანამშრომლობა დიდებული იქნებოდა. იგი „პარმაში“ მთელი ორი სეზონის განმავლობაში გახლდათ ჩემი მწვრთნელი და საოცარი ძალისხმევა დასჭირდა კარგად რომ ავეთამაშებინე. მის წინაშე ვალში ვარ. იგი საოცრად მომთმენი იყო და ამ ყველაფრისთვის მე მისი მადლობელი ვარ“ — ამას კი ამბობს ლონდონის „ჩელსის“ არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო, რომელმაც სერია A-ში კარიერა „პარმადან“ დაიწყო.

შემდეგ იყო „ლაციო“ და „ინტერი“, ხოლო „ინტერიდან“ 11 მილიონი გირვანქის ფასად იგი „ჩელსიმ“ იყიდა, მაგრამ ლონდონურ კლუბში კრესპომ ვერ ააწყო საქმე სათავისოდ. ერთი სიტყვით, ამბობენ, რომ არგენტინელი ისევ იტალიაში, კერძოდ კი, „მილანში“ დაბრუნდება, მაგრამ გარანტია იმისა, რომ შავ-წითელ გუნდში კრესპოს საქმეები კარგად წაუვა, ბუნებრივია, არ არსებობს. „მილანში“ ხომ თამაშობენ ისეთი ძლიერი თავდამსხმელები, როგორებიც არიან ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი და იონ დალ ტომასონი.

„აქ გარანტიებზე ლაპარაკიც არ არის. ბავშვი ხომ არ ვარ? გუნდში ცხოვრების წესები ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილი და მეტსაც გეტყვით, თუ მართლა „მილანში“ წავალ, თანახმა ვარ, ხელფასის შემცირებასაც კი დავყაბულდე“ — ამბობს კრესპო, რომლისთვისაც „ინტერში“ თამაშის პერიოდში „სან სირო“ შინაური გარემო გახლდათ:

„თუ ლონდონელებს მართლა აღარ ვჭირდები, მაშინ „მილანს“ ვირჩევ“.

ასე და ამგვარად, კრესპო „მილანისკენ“ მიიწევს, მაგრამ რამდენი თავდამსხმელი უნდა დაგროვდეს ამ გუნდში, მართლაც საოცარია. საქმე ის გახლავთ, რომ საუბარია კიდევ ერთი ფორვარდის, ბრაზილიელი ლუის ფაბიანოს შეძენზე. ლუის ფაბიანო „სან პაულუში“ თამაშობს და მისი სატრანსფერო ღირებულება 11,4 მილიონი გირვანქის ტოლია.

„ჩემი მიზანია ევროპაში დიდი სახელი დავიგდო. ბედნიერი ვარ, კაკას გვერდით და კაკას გუნდთან დაკავშირებით რომ მახსენებენ. კაკა ჩემი დიდი მეგობარია და თუ მის გვერდით თამაშის საშუალება მომეცემა, ბედნიერი ვიქნები“ — ამბობს 24 წლის ფეხბურთელი.

კაკა და ლუის ფაბიანო „სან პაულუში“ თამაშობდნენ ერთად. მათი გზები იკვეთებოდა ნაკრებშიც, ასე რომ, „მილანის“ აგენტები ლუის ფაბიანოს შეძენით მართლაც ძალიან დაინტერესებულნი ყოფილან, რაც შეეხება ბრაზილიის ეროვნულ გუნდს, მასზე ფაბიანო ასე ამბობს:

„მე ველაპარაკე ნაკრების თავკაცს, კარლოს ალბერტო პარეირას. მან მითხრა, რომ დროა ჩემი ადგილი ვიპოვო. თან, სადაცაა მამა უნდა გავხდე, ასე რომ, უკვე მეტი პასუხისმგებლობა მმართებს“.

მაგრამ იყიდის ახალ ფეხბურთელებს თუ ვერა, „მილანის“ მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი გუნდის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას ელის.

„ამ სეზონში ჩემი გუნდის წევრებისთვის ნიშნების დაწერა რომ მთხოვონ, ვუპასუხებდი, რომ საშუალოდ, ათბალიანი სისტემით ყველას ცხრიანი ეკუთვნის — ამბობს ანჩელოტი — ყველამ იცოდა, როგორ უნდა გამოესწორებინა წინა წლის შეცდომა და როგორც დიდ, ასევე შედარებით სუსტ გუნდებს თვალშისაცემი მოწადინებით ეთამაშებოდა. ჩვენი ერა მხოლოდ ახლახან, უკვე დამთავრებული სეზონის დასაწყისში დაიწყო, როდესაც გარკვეული მიმართულება ავიღეთ და ამ მიმართულებით ხარისხიანი ფეხბურთის თამაში დავიწყეთ. ჩვენი პროექტი დიდია. ბოლო პერიოდში მოპოვებული ჯილდოები, ცხადია, მარაგს მივამატეთ, მაგრამ მომავალში უფრო მეტს ველით“.

პაპუნა კედია

საკუთარ სხეულზე გამარჯვებული

ბაჯიო ფარდა დაუშვა



რობერტო ბაჯიო საფეხბურთო სცენაზე 20 წლიან კარიერას დასასრულის ფარდა ჩამოაფარა და თქვა, რომ ეს კარიერა თავად გახლდათ დიდი, ნამდვილი გამარჯვება — ბაჯიოს ბოლო მატჩმა „სან სიროზე“, „მილანთან“ უწია.

„ეს ემოციური, ჯადოსნური მომენტი იყო — თქვა ვეტერანმა, რომელსაც „სან სირო“ ოვაციით ფეხზე წამოუდგა, — დიდი მადლობა მილანს ასე თბილად რომ მიმიღო და გამომეშვიდობა. დღეს ჩემი ბოლო მატჩი იყო“.

ამასწინათ, მთელი იტალიის საყვარელ ფეხბურთელს ქვეყნის ნაკრებმაც მოუწყო ბოლო მატჩი. ეს იტალია-ესპანეთის ამხანაგურ მატჩზე მოხდა.

„არის ხალხი, რომელსაც არ ვუყვარვარ, მაგრამ უამრავი ქომაგის მუდმივი მხარდაჭერა ამ უსიამოვნო შეგრძნებას ყოველთვის მავიწყებდა. კარიერის დასასრულებლად ამაზე მოხერხებულ მომენტსა და გზას ვერ მოვნახავდი“ — განმარტა 37 წლის ვარსკვლავმა, რომლის ფეხბურთში დარჩენის იმედი ქომაგებს ბოლო წამამდე ჰქონდათ.

„საქმე ის არის, რომ საკუთარ მუხლებთან მაქვს რთული, სიძულვილ-სიყვარულით სავსე დამოკიდებულება — გაიღიმა ბაჯომ — ამ ფეხებმა ხომ ცხოვრებაში დიდი სიამოვნება მომანიჭეს, მაგრამ დაუსრულებელი ტკივილი უარესდებოდა და სირბილის სტილიც კი დამიმახინჯა“.

ბაჯომ მუხლის სერიოზული ოპერაცია ჯერ კიდევ 18 წლისამ გადაიტანა, მაგრამ არ დანებდა, ისევე როგორც არ მოუხარა ქედი კარიერის განმავლობაში გაკეთებულ დანარჩენ ოპერაციებს.

„გული მწყდება ბევრ რამეზე, მაგალითად, მსოფლიოს 1994 წლის ფინალში აცილებულ პენალტზე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც 20 წლიანი კარიერის დასასრულს მივადექი, ვხედავ, რომ მთელი კარიერა გამარჯვება იყო, გამარჯვება საკუთარ სხეულზე“.

ამბობენ, რომ იტალიურ ფეხბურთში აღარასოდეს გამოჩნდება ასეთი, საყოველთაოდ საყვარელი ფიგურა.

„ძნელია კონკრეტული მემკვიდრის დასახელება. დიდი ფეხბურთელია ფრანჩესკო ტოტი. მონაცემების მიხედვით ანტონიო კასანოს შეუძლია შეუდარებელი გახდეს...“

ხოლო გულშემატკივართა ერთი ნაწილი ამბობს, რომ ბაჯოს ფეხბურთიდან წასვლაში ნაკრების მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონია დამნაშავე. მას ლეგენდარული ფეხბურთელი ნაკრებში ევრო 2004-ზე წასასვლელად უნდა გამოეძახა.

„ტრაპატონისთან აღარ მქონია კონტაქტი. მას ჩემი ნაკრებში გამოძახება რომ სდომოდა, ვფიქრობ, ეს კარგა ხნის გაკეთებული ექნებოდა“.

პაპუნა კედია



NO! მალდინიმ ტრაპატონის უარი შეუთვალა

პაოლო მალდინიმ გარკვევით და მთელი იტალიის გასაგონად თქვა: არა! იგი ევროპის ჩემპიონატზე არ გაემგზავრება.

„ნაკრების მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის უკვე ველაპარაკე და ვფიქრობ, მან ჩემი მიზეზები გაიგო. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი“ — განაცხადა „მილანის“ კაპიტანმა, რომელმაც სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლაზე ორი წლის წინ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მიუხედავად ამ განცხადებისა, „მილანში“ 36 წლის მალდინი ჩინებულად თამაშობს, ალესანდრო ნესტასთან ბრწყინვალე წყვილს ჰქმნის და მთელს იტალიას სურვილს უჩენს, რომ პორტუგალიაში გაემგზავროს.

„მსოფლიოს სამი და ევროპის ერთი ჩემპიონატი მაქვს ნათამაშები. საკმარისია, გადაწყვეტილება მიღებულია. 2006 წელს საერთოდ ფეხბურთიდანაც წავალ და ეგ იქნება“ — ამბობს პაოლო და მართლაც, „მილანთან“ კონტრაქტი სულ ახლახან გააგრძელა 2006 წლის ივნისამდე.

პაპუნა კედია

დევიდ ბექემმა თანამსაჯს ჯერ აგინა, მერე ტაში დაუკრა

მურსიამაც, კარლუშ?!

ბექემს მსაჯი შემოეგინა

ესპანეთი
პრიმერადივიზიონი
XXXVII ტური
მურსია 2:1 რეალი

1:0, 2:0 ლუის გარსია (3, 33პ), 2:1 გუტი (90)
მურსია: ბროტო, ხუანმა, კუადრადო, ხურტადო, კარერასი, კანსედო (მასიელი 61), იენსენი, აგიარი, რიჩი, კარანკა (ასკარატე 89), ლუის გარსია
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, მეხია, ბორხა (იორდი 89), ბექემი, ფიგუ, სოლარი (გუტი 70), ზიდანი, რაული
მწვრთნელი: კარლუშ კეირუში
გაფრთხილება: ელგერა, ზიდანი, ლუის გარსია, გუტი, ფიგუ, იენსენი
გაძევება: ბექემი (36)
მსაჯი: ალვარესი
16 000 მაყურებელი

ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს, „რეალის" ისტორია კი 102 წელიწადს ითვლის — გუნდმა ზედიზედ ოთხით ამაში წააგო. და რაკი კვირას სალამოსვე „ბარსელონამ" „რასინგი" დაამარცხა, „რეალმა" წაგებით თითქმის გაინაღდა ახალი სეზონის ნაადრევად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებით დაწყება. ბოლო ტურში „ბარსას" ფრეც ჰყოფნის „რეალი" მესამე ადგილზე რომ დატოვოს. ისე, ვინ იცის, ეგებ მადრიდელები სულაც მეოთხეზე აღმოჩნდნენ.

კვირას „რეალი" მურსიაში დამარცხდა პრიმერადან კარგა ხნის წინ გავარდნილ გუნდთან.

მადრიდელებს აკლდათ დისკვალიფიცირებული რონალდო და რობერტო კარლოსი და მესამე წუთზევე გაუშვა პირველი გოლი. „მურსიას", რომელსაც იქამდე მხოლოდ სამი თამაში მოეგო მთელ სეზონში, კიდევ რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეორე გოლს მხოლოდ პენალტით გამოჰკრა ხელი — ივან ელგერამ საჯარიმოში ხელით ითამაშა. სტუმართაგან კი საუკეთესო მომენტი სანტიაგო სოლარის ჰქონდა, ვინაც ბურთი ძელს გაარტყა.

ამ მატჩში გააძევეს დევიდ ბექემი, რომელმაც თანამსაჯს გამართული ესპანურით აგინა. ეს ბექემის მეორე გაძევება იყო „რეალში" გადასვლის მერე, მთლიანად კარიერაში კი მეოთხე.

მისი პირველი წითელი ბარათი, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინასთან მიღებული, მოგეხსენებათ, მთელი მსოფლიოს გასარჩევი შეიქნა. მეორე წითელი ყურადღების მიღმა დარჩა, რომელიც ბრაზილიაში ყოვლად უსარგებლო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატისას აუფრიალეს. ბოლოსწინა კი „ვალენსიასთან" სამეფო თასის მეოთხედფინალში დაიმსახურა.

„რეალიდან" ერთი საპასუხო გუტიმ გაიტანა, თუმცა გუნდი სირცხვილს ვერ გადაარჩინა.

კოტე კეკელია

ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილი

ვალენსია	37	23	8	6	71:26	77
ბარსელონა	37	21	9	7	62:37	72
რეალი	37	21	7	9	70:49	70
დეპორტივო	37	20	8	9	59:34	68
ბილბაო	37	15	11	11	50:45	56
ვილიარეალი	37	15	9	13	47:46	54
სევილია	37	14	10	13	55:45	52
ატლეტიკო	37	14	10	13	47:50	52
მალაგა	37	15	6	16	48:52	51
ბეტისი	37	12	13	12	43:41	49
ოსასუნა	37	11	15	11	38:36	48
მალიორკა	37	14	6	17	52:65	48
სარაგოსა	37	12	9	16	44:54	45
ალბასეტე	37	12	8	17	39:48	44
სოსიედადი	37	10	13	14	45:52	43
რასინგი	37	11	10	16	48:62	43
ესპანიოლი	37	12	4	21	46:64	40
სელტა	37	9	12	16	46:65	39
ვალიადოლიდი	37	9	11	17	43:56	38
მურსია	37	5	11	21	29:55	26

ბომბარდირები

რონალდო (რეალი)	24
მისტა (ვალენსია)	19
ბაპტისტა (სევილია)	19
სალვა (მალაგა)	18
რაულ ტამუდო (ესპანიოლი)	18
ვილა (სარაგოსა)	17
ტორესი (ატლეტიკო)	17
ეტოო (მალიორკა)	17

შურისძიება

ჰერესს დელ ბოსკეზე გაგდება აკრძალა

ესპანური პრიმერას დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა, პირნველთა სახელგანთქმულ „რეალს" კი მძიმე დროება უდგას— პორტუგალიელი კარლუშ კეირუშის გაწვრთნილმა მადრიდელებმა ამ სეზონში ვერც ჩემპიონთა ლიგა მოიგეს, ვერც ქვეყნის პირველობა და იქაური კოპა დელ რეიც ქარს, ანუ არაგონულ „სარაგოსას" გაატანეს. ყოველივე ამის ულიმღამო კომპენსაცია პრიმერადივიზიონის მეორე ადგილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კვირას „მურსიასთან" სენსაციური მარცხით „რეალის" ვერცხლისმედალოსნობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. გთავაზობთ ცნობილი ესპანელი საფეხბურთო მიმომხილველის, ალფრედო რელანიოს წერილის ფრაგმენტს, რომელშიც გალაქტიკური კლუბის დაცემის მიზეზებზეა საუბარი.

ამჯერად ლუის გარსია, ისიც მადრიდის „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი, ზუსტად ამ მოთამაშის ორმა გოლმა გამოაცხო „რეალის" საპრიმერო შავი რეკორდი — არასდროს, ესპანეთის ჩემპიონატის მთელი 76-წლიანი არსებობის განმავლობაში, „რეალს" ზედიზედ ოთხი თამაში არ წაეგო. კვირას კი „მურსიასთან" კეირუშის გუნდის ბოლოჟამინდელ ჩავარდნებს ეს მწარე მარცხიც მიემატა... ხანდახან ვფიქრობ, რომ „რეალის" თავკაცებს ვისენტე დელ ბოსკეს გუნდიდან უცერემონიო და სამარცხვინო დათხოვნისთვის რომელიღაც უცნობი, ძველი მითოსის შურისძიების ქალღმერთი გადაეკიდა. პრეზიდენტი პერესი ვარაუ-დებში შეცდა, მაგრამ „ფანტასტიკური" მარცხით გაოგნებულმა ინჩესებმა რაღა დააშავეს? ძალიან რთულია ეს ყველაფერი...

ქალღმერთი ქალღმერთად და ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ (თუ ეს ახლანდელ „რეალთან" მიმართებაში შესაძლებელია), დაახლოებით ასეთი სურათი წარმოგვიდგება თვალწინ: ვერც ერთმა „გალაქტიკომ", გარდა ლუიშ ფიგუსა, ვინც მართლაც ჩინებულ ფორმაშია, სეზონის მიწურულს თავისი სახელ-დიდება ვერ გაამართლა. ამიტომაცაა, „რეალს" ბოლო 5 შეხვედრაში დაგეგმილი 15 ქულის მაგივრად სამიღა რომ შერჩა ხელთ, კარლუშ კეირუში კი... ეს უკვე ცალკე თემაა. „რეალის" მწვრთნელი, დარწმუნებული ვარ, როგორც ყველა სხვა სპეციალისტი, ფეხბურთელებს მატჩის წინ რჩევებს აუცილებლად მისცემდა, თუმცა პორტუგალიელის დარიგებანი სავარაუდოდ მრავალფეროვანი არ უნდა ყოფილიყო — შენ, კასილიას, მეტოქის ათი დარტყმული ბურთიდან ცხრა აიღე და ყველაფერი კარგად იქნება. შენ, რონალდო, თუ სამ საგოლე პასს მოგცემენ, უკიდურეს შემთხვევაში 2 უნდა შეაგდო და თამაშსაც ჩვენ მოვიგებთ... აჰა, იკერიც ბევრს უშვებს და რონალდოსაც გოლების გატანა დაავიწყდა. დაგვრჩა გუნდი, რომელსაც არც მწვრთნელის ხელი ეტყობა და არც ფეხბურთელების ოსტატობა.

„რეალმა" სეზონის დასაწყისში დაშვებული შეცდომების გამო მწარედ ზღო, მაგრამ იმედია, ახალი მწვრთნელი ამ შეცდომებზე ისწავლის და კეირუშივით ბნელი რეკორდების „მიღწევას" არ შეეცდება. გუნდი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს — „ლა კონდომინაზე" „რეალის" წაგებით სიგიჟემდე გახარებული ხალხი ვნახე, სტუმრებს უშვერად ლანძღავდნენ. არადა, „მურსიას" ინჩასები „გალაქტიკოებისადმი" ყოველთვის სიმპათიურად იყვნენ განწყობილი. რა გაეწყობა, ცუდი სეზონი იყო, თუმცა სამომავლო „რეალისთვის" ერთი იმედი რჩება — ხოსე ანტონიო კამაჩო. მან ახლახან პორტუგალიის თასის ფინალში ჟოზე მაურინიუს „პორტუს" მოუგრიხა კისერი და ალბათ „სანტიაგო ბერნაბეუზეც" მოახერხებს თავის გამოჩენას.

იტალიელთა პლეიოფები

მომავალი სეზონიდან სერია A და სერია B ინგლისური სისტემით გაარკვევენ თავიანთი ამსვლელ-ჩამსვლელების ბედს. ამ სეზონში ხსენებული სისტემა სხვანაირადაა მიღებული: სერია A-ს ბოლოდან მეოთხე გუნდი, კერძოდ, როგორც გაირკვა „პერუჯა", სერია B-ს მეექვსე, ჯერ უცნობ წარმომადგენელს და შეხვდება და ეს იქნება ორთამაშიანი პლეი ოფი.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის რწმენით, მომავალში პლეი ოფი მხოლოდ ერთი წყვილის ამბავს არ უნდა არკვევდეს. ამიტომ ფიქრობენ, რომ გაისად ამ დროს, სერია A-ს ბოლო გუნდი კვლავ პირდაპირ გავარდება, ხოლო მე-16 და მე-19, ასევე როგორც მე-17 და მე-18 ერთმანეთში გაარკვევენ წამსვლელ-დამრჩენის ვინაობას. მეტიც, იყო მოსაზრება, სკუდეტო რომ სკუდეტოა, ისიც კი პირველი და მეორე გუნდების დაჯახებით გარკვეულიყო, მაგრამ ეს, ალბათ, ნაკლებ სავარაუდოა.

პაპუნა კედია

ახდა საკნის ოცნება

ზანგებმა და თეთრებმა ვახტანგურად დალიეს

ციურიხში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრში, რამდენიმე სახელმწიფოს მაღალჩინოსანთა თანდასწრებით და, ცხადია, მრავალრიცხოვან ჟურნალისტთა წინაშე ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გამოაცხადა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატს ფეხბურთში უმასპინძლებს სამხრეთ აფრიკა.

„გაიმარჯვა სამხრეთმა აფრიკამ. გაიმარჯვა ფეხბურთმა“ — ბრძანა პრეზიდენტმა

მოგეხსენებათ, ფიფას ბოლო გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონატები კონტინენტებს მორიგეობით უნდა ერგოთ, ამიტომ ამჯერად სამხრეთ აფრიკის მოცილენი იყვნენ მხოლოდ მაროკო და ეგვიპტე, ანუ აფრიკული ქვეყნები. სხვა ამბავია, რომ 2006 წლის ჩემპიონატისთვის ბრძოლის დროს როტაციის წესი ჯერ არ იყო შემოღებული და სამხრეთ აფრიკას გერმანიამ ავჯობა, ოღონდ, მხოლოდ ერთი ქულით.

„ჩვენ აფრიკას ტაში უნდა დავუკრათ. დღეს გამარჯვებულია ფეხბურთი, დღეს გამარჯვებულია აფრიკა“ — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

პირველ რაუნდში სამხრეთ აფრიკამ 14 ხმა მიიღო, 10 ერგო მაროკოს, ეგვიპტეს კი არც ერთი. მანამდე, ჩამოთვლილთა გარდა, იყო თანამასპინძლობის მსურველი წყვილი, ლიბია და ტუნისიც, ოღონდ ამ წყვილის ერთმა წევრმა, ტუნისმა თავისი განაცხადი პარასკევს უკან გაიტანა, ხოლო მეორეს, მარტო დარჩენილ ლიბიას, ფიფამ შაბათს უთხრა უარი.

ფიფას რწმენით, სამხრეთ აფრიკასა და მაროკოს შორის პირველს გაცილებით უკეთესი პროექტი ჰქონდა წარდგენილი. სამხრეთ აფრიკაში ცხრა სტადიონი დღესვე მზადაა, ხოლო ოთხი მოსამთავრებელი თუ გადასაკეთებელია. ეს ის ქვეყანაა, რომელმაც შარშან კრიკეტის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა, 1995 წელს კი რაგბის მსოფლიოს თასს, თუმცა აქვს ძალიან დიდი მინუსიც: მძიმე კრიმინალური მდგომარეობა.

საინტერესოა, რომ სამხრეთაფრიკელთა ლიდერმა, ნელსონ მანდელამ თავისი პირადი ავტორიტეტიც გვარიანად მიაშველა საქმეს.

„თავს 50 წლის ახალგაზრდად ვგრძნობ“ — განაცხადა 85 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა, რომელმაც გაიხსენა, როგორ უსმენდა აპარტეიდის დღეებში, ციხის საკანში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციას.

სამხრეთ აფრიკაში ამ პროცედურას შვეიცარიიდან პირდაპირ გადასცემდნენ ტელეარხები. ხალხისთვის ქუჩებში დიდი ეკრანები ჰქონდათ მოწყობილი, ბედნიერი თეთრები და ზანგები ერთად სვამდნენ შამპანურს სტადიონებზე და ქალაქების მოედნებზე.

„მოდით, ყველამ ვიზეიმოთ“ — აღმართა ჭიქა ქვეყნის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ. მან დედაქალაქ პრეტორიაში მოცეკვავე და ამღერებულ ხალხს მიმართა.

მაშ ასე, აპარტეიდის გამო ოდესღაც ბოიკოტირებულმა ქვეყანამ შვიდწლიანი ბრძოლა წარმატებით დაასრულა.

სამხრეთ აფრიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი და პროექტის ლიდერი დენი ჯორდანი: „იმედი მაქვს, ფიფას აღმასკომის წევრებს ესმით, რა გააკეთეს უამრავი სამხრეთაფრიკელი უმუშევრისა და ღატაკისთვის. მათ ოცნება იმედად უქციეს და აუხდინეს.“

სამხრეთაფრიკელთა ანგარიშით, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ქვეყანას 3,1 მილიარდ დოლარს მოუტანს და 160 ათას სამუშაო ადგილს გააჩენს.

როტაციის პრინციპიდან გამომდინარე, 2014 წელს ასეთ სიხარული სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანას ელის.

პაპუნა კედია

ნელსონ მანდელა და იოზეფ ბლატერი

ფელიქს მაგათი

იქ რა უნდა ვაკეთო?!

თითქმის ნაღდი ამბავი: მოყანყალებულ ბაიერნს მაგათი ჩაიბარებს



ოტმარ ჰიცფელდს შესაძლოა, ული ჰაინესიც მიჰყვეს

მითი მიუნხენის „ბაიერნის“ უძლეველობის შესახებ დაიმსხვრა. კლუბი, რომელმაც ამ სეზონში სხვა გერმანულ კლუბებზე მეტი დახარჯა გუნდის გასაძლიერებლად, ვინ იცის, ეგებ მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს. ეს კი ნიშნავს, რომ მიუნხენელებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევთ თამაში. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს, მთავარია, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონი ვერ გახდა, რაც ყოველთვის ძალიან მტკივნეულად აღიქმება-ხოლმე — ცხადია, მიუნხენელების მხრიდან

ამ დროს გერმანიის ჩემპიონი ბრემენის „ვერდერი“ გახდა, რომლის სეზონისწინა დანახარჯი პირდაპირ სასაცილოა „ბაიერნის“ დახარჯულ ფულთან შედარებით. უბრალოდ, აილტონისა და კრსტაიჩის დარმა ფეხბურთელებმა თავისი ბრძოლისუნარიანობით და ხასიათით შეძლეს ის, რაც „ბაიერნის“ ვარსკვლავებისთვის მიუღწეველი დარჩა. მაგალითად, ეგებ გახსოვდეთ, რამხელა ხმაური მოჰყვა „ბაიერნში“ ზე რობერტოს მიყვანას და რამდენი ფული დაიხარჯა ამ საქმეში. და რა გამოვიდა? ზე რობერტო მიუნხენურ კლუბში ჩვეულებრივ ფეხბურთელად იქცა.

ასეთ დროს ის ხალხი, ვისი ფულითაც ხდება გუნდის შევსება, მერე კი აღმოჩნდება, რომ ეს ფული წყალში გადაუყრიათ, დამნაშავის ძებნას იწყებს. ყველაზე მარტივი გამოსავალი მწვრთნელის დადანაშაულებაა და „ბაიერნშიც“ ასე მოხდა — დღეს ღიად ლაპარაკობენ ოტმარ ჰიცფელდის გაშვებასა და მის მაგიერ ფელიქს მაგათის მოყვანაზე. თითქოს ბედის ირონიით, მაგათის „შტუტგარტი“ და ჰიცფელდის „ბაიერნი“ სწორედ ამ უქმეებზე შეხვდნენ ერთმანეთს და ანგარიშიდანაც ჩანს (3:1), რომ მაგათიმ პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე.

ჰიცფელდის მაგათით ჩანაცვლება რომ მოხდება, ამას რამდენიმე ფაქტიც მოწმობს. ერთი ის, რომ მიუნხენელთა სპორტულ დირექტორს, ული ჰაინესს ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგესთვის ამას წინათ უთქვამს, ვიღაც-ვიღაცეებისთვის ეს ბოლო ბაიერნული სეზონიაო და სათადარიგოთა სკამისკენ გაუხედავს. მეორე, „ბაიერნის“ მარკეტინგის მენეჯერის, სტაუდტის აღიარებაა, მაგათისთან მართლა გვაქვს მოლაპარაკება და დეტალებს ცოტა ხანში გავახმაურებთო. შემდეგი არგუმენტი თვით ფრანც ბეკენბაუერის ნათქვამია, ახალი სეზონისთვის ჩვენი საუკეთესო შენაძენი ფელიქს მაგათი იქნებაო. იმასაც ამბობენ, რომ რუმენიგეს მაგიდაზე უკვე დევს მაგათისთან გასაფორმებელი კონტრაქტის პროექტი.

ცნობისთვის: ოტმარ ჰიცფელდს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2005 წლის 6 იანვარს უმთავრდება, იქამდე კი დიდი დრო არა არის დარჩენილი და კლუბმა კონტრაქტი ახლავე რომ გაუწყვიტოს, დიდად არ იზარალებს.

მთელ ამ ამბავში კი ყველაზე საინტერესო და ალბათ სენსაციურიც, მაგათის განცხადებაა: „მე მართლაც მაქვს შემოთავაზება „ბაიერნიდან“, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, იქ რა უნდა ვაკეთო.“

ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ნოუ კომენტო.

სხვათა შორის, ული ჰაინესი, რუმენიგე და კლუბში ფინანსების გამგე, ვინმე ჰოპნერი რამდენიმე დღის წინ მიუხენის ერთ-ერთ რესტორანში დასხდნენ და დანახარჯებზე ილაპარაკეს.

და ერთი ფრიად საინტერესო დეტალიც — არ არის გამორიცხული, ჰიცფელდის ბედი ული ჰაინესმაც გაიზიაროს. ბოლოს და ბოლოს, სპორტული დირექტორი ხომ აქტიურად არის ჩაბმული სასელექციო საქმეებში და თუ კლუბმა მილიონები წყალში გადაყარა, ამაში ჰაინესის არცთუ მოკრძალებული წვლილია. ამასთანავე, ჰაინესი, თავისი არაკორექტული გამონათქვამებით სულ უფრო და უფრო არაპოპულარული პიროვნება ხდება „ბაიერნის“ გულშემატკივრებისთვის.

ირაკლი ნინიძე

მარტოსული ურჩხული

ბუფონები: მამა ძალოსანი, დედა მძლეოსანი, ბაბუა და შვილიშვილი მეჯარე

ბაბუა ბუფონი

1990 წლამდე ევროპაში თითო ეროლა კაცმა თუ იცოდა, რომ იტალიაში არსებობდა ასეთი გუნდი, „პარმა". ეს პატარა და უამბიციო გუნდი იყო. სერია B-ში თამაშობდა და გავარდნა არ ემუქრებოდა, თუმცა სერია Ø-ში გადასვლასაც ვერ ახერხებდა. მერე საქმეში კომპანია „პარმალატი" ჩაერია თავისი დიდი ფულით და საქმე აეწყო. არიგო საკისა და ნევიო სკალას ცოდნით და „პარმალატის" ფინანსებით, თავში ნახსენებ წელს „პარმა" პირველად მოხვდა უმაღლეს სერიაში.

მოხვდა და საოცრებების ჩადენაც დაიწყო — ევროპის თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი, ევროპის სუპერთასი, იტალიის თასები და სუპერთასები. მაგრამ პარმელთა მთავარი წვლილი იტალიურ და ზოგადად ევროპულ ფეხბურთში მისი მოთამაშეები არიან, ზოგი — კლუბისავე აკადემიაში აღზრდილები, ზოგი კი სხვა გუნდებიდან მოყვანილები „პარმაში" რომ იქცნენ ვარსკვლავებად. ლამის მსოფლიოს ნაკრები შეგვიძლია შევადგინოთ: ერნან კრესპო, ფაბიო კანავარო, მარიო სტანიჩი, ნესტორ სენსინი, დინო ბაჯო, ფაუსტინო ასპრილია, აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა, ხუან ვერონი, სტეფანო ფიორე, ჯანფრანკო ძოლა, ფერნანდო კოუტუ, ლილიან ტურამი, ჯანლუიჯი ბუფონი...

უბრალოდ შეუძლებელი იყო, ჯიჯი ბუფონი სპორტსმენი არ გამხდარიყო. მამამისი ადრიანო ძალოსანი იყო, დედა მარია სტელა ახალგაზრდობაში ბადროს ისროდა, ბიძა ანჯელო კალათბურთელი იყო, დები ვერონიკა და გვენდალინა ხელბურთელები, ბაბუა ლორენცო ბუფონი კი თავის დროზე „მილანის" მეკარე იყო და „სკუადრა აძურაშიც" თამაშობდა.

ჯიჯი, ფეხბურთის თამაში რომ დაიწყო, ნახევარმცველად გაამწესეს. მაგრამ მოგვიანებით მწვრთნელმა შენიშნა, რომ ბიჭს საოცარი რეაქცია ჰქონდა, თან მაღალი იყო და კარში ჩააყენა. ამას არც მომავალში დიდი მეკარე შეწინააღმდეგებია და სიმართლე ითქვას, კმაყოფილიც დარჩა — სირბილი ეზარებოდა და ნახევარდაცვაში აბა, ერთ ადგილს ვინ ატკეპინებდა. მაშინ მისი კერპი ლუკა მარკეჯანი იყო. სხვა მეკარეებს არც იცნობდა. ორი წლის წინ კი, როცა მსოფლიოს საუკეთესო მეკარეების დასახელება სთხოვეს, უფრო მოზრდილი სია გამოუვიდა: სენეგალელი ტონი სილვა, გერმანელი ოლივერ კანი, ურუგვაელი ფაბიო კარინი, ფრანგი ფაბიენ ბარტეზი.

თავის დროზე ბუფონმა ბევრი რამ არ იცოდა. 1995 წლის 19 ნოემბერს 17 წლის ბუფონს პირველად ანდეს სერია Ø-ში თამაში. „ენიო ტარდელიზე" „პარმა" „მილანს" მასპინძლობდა, ლუკა ბუჩი კი დაშავებული იყო. გულშემატკივარს გულმა რეჩხი უყო — ბუფონმა ისიც კი არ იცოდა, რომ თამაშის წინ გუნდები ფოტოს იღებდნენ და როცა პარმელები ორ რიგად მოეწყვნენ, ის ამ დროს კარისკენ მირბოდა. თუმცა თამაში დაიწყო და ხალხს გული გაუმაგრდა — გამოუცდელ მეკარეს შეცდომა არ დაუშვია და იმ მატჩში „მილანმა" გოლი ვერ გაიტანა. მომდევნო სეზონში კი ბუფონმა საბოლოოდ ამოაგდო შემადგენლობიდან ბუჩი.

20 წლისა ბუფონი უკვე ნაკრების მეკარე იყო. ძველი თაობა — პალიუკა, პერუცი, როსი — საფრანგეთის მუნდიალის მერე წავიდა და გზა ახალგაზრდებს დაუთმო. „სკუადრა აძურას" მთავარმეკარეობისთვის ბუფონი და ფრანჩესკო ტოლდო დაეჯახნენ. დუელი ბუფონმა მოიგო, მაგრამ 2000 წელს, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მან თითი მოიტეხა. ის ჩემპიონატი, გეხსომებათ, ტოლდოს ტრიუმფით დასრულდა. ბოლოს და ბოლოს, ჰოლანდიის ნაკრები მარტოკამ დაამარცხა.



ჯანლუიჯი ბუფონი

მოგეხსენებათ, ყველაფერი ხორცდება, მათ შორის, მოტეხილი თითიც და ბუფონმა ტოლდოს პირველობა ნელ-ნელა ჩამოართვა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი მას სრულიად კონკრეტული წინადადებით მიმართა. ბუფონმა იფიქრა და ცდუნებას გაუძლო, „პარმაში" დარჩა. ამ გადაწყვეტილებით, ცხადია, გულშემატკივართა კერპი შეიქნა.

თუმცა მას მოგვიანებით მაინც უწოდეს იუდა.

მსურველთა მორიგი შემოტევისას, „პარმამ" მეკარისთვის არნახული ფასი, 37 მილიონი დოლარი მოითხოვა და ამ ერთი სიტყვით მოიშორა მსურველები, მათ შორის, „ბარსელონა". ეს მართლაც გიჟური ფასი იყო და მხოლოდ ერთი მთხოვნელი ვერ დააფრთხო — „იუვენტუსს" სასწრაფოდ სჭირდებოდა ედვინ ვან დერ სარის შემცვლელი.

როცა „იუვენტუსი" ბუფონის ჩემპიონობას ეზეიმობდა, „პარმა" ბოლოს ადგილზე ეცემოდა. ბუფონმა ბოლოს ბოლოს, ჰოლანდიის ნაკრებ-ბრაზილიის ფინალი ვერ ნახა. ეს ფინალი ბუფონისთვის ალბათ ერთ-ერთ ყველაზე ტკივილიანი ფინალი იქნებოდა. ბუფონმა ბოლოს ბოლოს, ბრაზილიელ ბებეტოს ბურთი ვერ ამოიღო ბადიდან. ბებეტოს ბურთი ბადეში ბუფონის ბურთ-ბურთ-ბურთ-

რივერმა ბოკა ბუნაგში ჩაკლა

არგენტინა

კლაუსურა. XIV ტური

ველეს სარსფილდი — კილმესი 0:1; ატლეტიკო რაფაელა — ბანფილდი 0:1; რასინგი — ნიუველსი 2:2; სან ლორენცო — კოლონი 2:0; ბოკა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 0:1; ხიმნასია — ოლიმპო 1:1; ლანუსი — ესტუდიანტესი 0:2; როსარიო — არსენალი 1:3; ტალიერესი — ნუევა ჩიკაგო 0:0; ჩაკარიტა — ინდეპენდიენტე 0:0

სამი კაცი გააძევეს ბუენოს აირესის და საერთოდაც არგენტინის უდიდეს დერბიში, ხოლო „რივერ პლეიტმა“ 1:0 მოუგო „ბოკა ხუნიორსს“, რითაც კლაუსურას ცხრილის ლიდერობიდან ჩამოაგდო და თავად ჩაუდგა სათავეში ცხრილს 32 ქულით.

თამაშის ერთადერთი გოლი ფერნანდო კავენაგიმ გაიტანა თავით, „რივერის“ მთავარი თავდამსხმელი, მარსელო სალასი კი თამაშის დასაწყისშივე შეცვალეს ტრავმის გამო.

„ბოკამ“ 9 კაცით დაასრულა თამაში, რადგან მეორე ტაიმში ხოსე კალვო და კარლოს ტევესი გაუძევეს. ასევე წითელი მიიღო „რივერის“ მცველმა ედუარდო ტუსიომ. სამივენი უხეშობისთვის შეირიცხნენ. „რივერმა“ „ბოკა“ მისივე ბუნაგში, „ბომბონიერაზე“ დასცა 56 ათასი გულშემატკივრის თვალწინ. ამ თამაშის შემდეგ „რივერი“ ქულით უსწრებს „ბოკას“, ეს უკანასკნელი კი 6 ქულით მესამეზე მყოფ „ტალიერესს“, რომელიც მე-14 ტურში უგოლოდ დაშორდა „ნუევა ჩიკაგოს“.

„სან ლორენცომ“ ათმატჩიანი მოუგებელი სერია „კოლონის“ ძლევით შეწყვიტა, კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესმა“ კი ზედიზედ მეორედ მოიგო რვამატჩიანი შავი სერიის შემდეგ. „ლანუსს“ ორივე გოლი მარიონე პავონემ გაუტანა.

ფერნანდო კავენაგის ამ დარტყმას „რივერ პლეიტის“ გამარჯვების გოლი მოჰყვა

ონორიო ბუსტოს დომეკი

რივერ პლეიტი	14	10	2	2	34:15	32
ბოკა ხუნიორსი	14	9	4	1	29:12	31
ტალიერესი	14	7	4	3	23:15	25
რასინგი	14	7	3	4	24:21	24
ველესი	14	6	4	4	24:16	22
ბანფილდი	14	6	4	4	19:14	22
კილმესი	14	5	6	3	15:14	21
კოლონი	14	6	2	6	17:22	20
არსენალი	14	4	7	3	14:16	19
ნიუელსი	14	3	9	2	24:19	18
ინდეპენდიენტე	14	4	6	4	16:18	18
სან ლორენცო	14	3	7	4	14:14	16
ესტუდიანტესი	14	4	4	6	15:22	16
ატლეტიკო	14	4	3	7	16:19	15
ნუევა ჩიკაგო	14	2	9	3	14:18	15
ლანუსი	14	4	3	7	15:20	15
ოლიმპო	14	3	4	7	12:22	13
ხიმნასია	14	2	6	6	18:20	12
როსარიო	14	2	3	9	14:26	9
ჩაკარიტა	14	1	6	7	14:28	9

მიდიან და მოდიან მენგო კი ჩაეშვა

ბრაზილია

სერია A. VI ტური

პაისანდუ — ვასკუ და გამა 1:2; ატლეტიკო პარანესე — სანტოსი 1:0; ფიგუირენსე — სან კაეტანო 1:0; გრემიო — ბოტაფოგო 2:2; ფლამენგო — ინტერნასიონალი 1:2; ფლუმინენსე — ვიტორია 1:0; კრისიუმა — გოიასი 7:2; პონტე პრეტა — კურიტიბა 0:0; კრუზეირო — პალმეირასი 2:1; სან პაულუ — პარანა 2:2; კორინთიანსი — გუარანი 1:0; ჟუვენტუდე — ატლეტიკო მინეირო 1:1

ბრაზილიის შარშანდელმა ჩემპიონმა „კრუზეირომ“ 2:1 მოუგო „პალმეირასს“ საერთობრაზილიური ჩემპიონატის მეექვსე ტურში და ეს მოგება მოჰყვა წლეულს მეორე მოხსნილი მწვრთნელის გუნდიდან წასვლას. პაულო სეზარ გუსმანი კვირა დილით დაითხოვეს, „კრუზეიროს“ ლიბერტადორესის თასიდან გავარდნის შემდეგ. კლუბმა ჩათვალა, რომ კალის „დეპორტივოსთან“ წაგება სამარცხვინო იყო.

გუსმანი თებერვლიდან თავკაცობდა ჩემპიონებს, მას შემდეგ, რაც გუნდიდან ვანდერლეი ლუშემბურგო დაითხოვეს, რომელიც წინა კვირას „სანტოსს“ ჩაუდგა სათავეში იქედან ემერსონ ლეაოს გაძევების შემდეგ.

ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე მეექვსე მწვრთნელმა დაკარგა სამუშაო. „გუარანიმ“, რომელმაც წინა კვირას ჟოელ სანტანა დაითხოვა, 1:0 მოუგო „კორინთიანს“ და თავის მწვრთნელად ნაკრების ყოფილი მეკარე ზეტი გამოაცხადა.

ჩემპიონატის ლიდერი „სან პაულუ“ ორჯერ უგებდა „პარანას“, მეკარე როჟერიო სენმ საფირმო ჯარიმა გაიტანა. სენი მთელი კვირის გმირიც იყო, ლიბერტადორესის თასზე, არგენტინულ „როსარიოსთან“ ორი მატჩისშემდგომი პენალტი მიიგერია, თუმცა, „პარანასთან“ გუნდი ვერ იხსნა, გაიტანა და 3 წუთში გაუშვა. საბოლოოდ კი, 2:2.

კვლავ წააგო „ფლამენგომ“, რომელსაც 40 მილიონი გულშემატკივარი ჰყავს და ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბად ითვლება. ფელიპეს გვიანმა პენალტმა „ინტერნასიონალს“ 2:1 მოაგებინა, დიადი „მენგო“ კი მთლად გასავარდნებში ჩაეწერა.

ლუჟაუ დუ მოუჟაუ

სან პაულუ	6	4	2	0	10:6	14
ფიგუირენსე	6	4	0	2	8:5	12
კრისიუმა	6	3	2	1	12:10	11
კრუზეირო	6	3	2	1	11:9	11
ინტერნასიონალი	6	3	2	1	5:3	11
პონტე პრეტა	6	3	2	1	7:6	11
ვიტორია	6	3	1	2	16:7	10
გოიასი	6	3	1	2	13:12	10
პარანა	6	3	1	2	10:15	10
ფლუმინენსე	6	2	3	1	6:5	9
პალმეირასი	6	2	2	2	10:5	8
სან კაეტანო	5	2	2	1	8:3	8
ატლეტიკო პრ	6	2	2	2	5:5	8
გრემიო	6	1	4	1	8:8	7
კურიტიბა	6	1	4	1	5:5	7
კორინთიანსი	6	2	1	3	7:14	7
სანტოსი	6	2	0	4	8:10	6
ჟუვენტუდე	5	1	2	2	8:6	5
ატლ. მინეირო	6	0	5	1	7:8	5
გუარანი	6	1	2	3	4:6	5
ვასკუ და გამა	6	1	2	3	4:6	5
ბოტაფოგო	6	0	3	3	7:13	3
ფლამენგო	6	0	3	3	4:10	3
პაისანდუ	6	0	2	4	7:13	2

„ფლამენგო“ — „ინტერნასიონალი“. მასპინძელმა ჟუან ფერეირამ სტუმართა მეკარეს ფეხი დაუტოვა

ფეხბურთის რუკასთან

იტალიურმა „იუვენტუსმა“ დიდიე დროგბას დაადგა თვალი. სეზონის ბოლოს ტურინს ალბათ დავიდ ტრეზეგე დატოვებს და „იუვე“ უკვე რა ხანია, მის შემცვლელს ეძებს. დროგბაზე ლაპარაკი ადრეც იყო, მაგრამ ახლა ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა. როგორ იტალიური პრესა იუწყება, „ბებერი ქალბატონი“ მზად არის, „მარსელს“ 18 მილიონი ევრო ჩაუთვალოს.

ინგლისურმა „ჩელსიმ“ შესაძლოა, მართლაც დაკარგოს ფრენკ ლამპარდი, რომლითაც რამდენიმე გრანდია დაინტერესებული. ნახევარმცველი ხელფასის გაზრდას დაჟინებით მოითხოვოს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები ფეხბურთელის თხოვნას ყურსაც არ უგდებენ. „უფროსობასთან შეხვედრა არ იგეგმება. უბრალოდ, ფრენკს უნდა, ისეთივე ჯამაგირი ჰქონდეს, როგორიც რამდენიმე მოთამაშეს აქვს „ჩელსიში“. კლუბი მოლაპარაკების დაწყებაზე უარს აცხადებს. ლამპარდმა ეს სეზონი ჩინებულად ჩაატარა და ახალი კლუბის პოვნა არ გაგვიჭირდება. ისედაც ყველამ იცის, რომ ჩემი კლიენტის ხელში ჩაგდება ძალიან უნდათ „იუვენტუსსა“ და „ინტერს“— თქვა ლამპარდის აგენტმა სტივ კატნერმა.

ესპანური „რეალის“ ყოფილმა და კვირას მადრიდელთა შემარცხვენელ „მურსიას“ ამჟამინდელმა თავკაცმა ჯონ ტოშაკმა რაულ გონსალეს ბლანკოს კლუბის გამოცვლა ურჩია. „ყველასთვის ნათელია, რომ რაული ვერ ახერხებს ძველი ფორმის დაბრუნებას, ვფიქრობ, მისთვის და ესპანური ფეხბურთისთვის უკეთესი იქნება, თუ იგი სხვა გუნდში გადავა. კარგი იქნება, რაულმა რომელიმე უცხო ჩემპიონატში რომ მოსინჯოს ძალა“ — განაცხადა ტოშაკმა. აქვე შეგახსენებთ, რომ რაულის გადაბირება ლონდონის „ჩელსის“ უნდოდა, თავად ფეხბურთელს კი რამდენჯერმე უთქვამს, კარიერის „მანჩესტერ იუნაიტედში“ დასრულებაზე არ ვიტყოდი უარსო.

ინგლისური „ლივერპულის“ ფორვარდი ემილ ჰესკი შესაძლოა, „ბირმინგემში“ გადავიდეს. მომავალი სეზონიდან მერსისაიდელთა რიგებში ფრანგი ჯიბრილ სისე ითამაშებს და ჰესკი სწორედ ამიტომ ფიქრობს კლუბის გამოცვლას. ბირმინგემელთა თავკაც სტივ ბრიუსის თქმით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია. „ლივერპული“ ჰესკის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას მიიღებს, ხოლო თუ „ბირმინგემი“ ჰესკისთან ერთად წარმატებებს მიაღწევს, კიდევ 2,5 მილიონის გადახდა მოუწევს.

რუსული „ლოკომოტივის“ წამყვანი ფორვარდი დმიტრი სიჩოვი საკმაოდ მძიმედ დაშავდა. იგი გასულ უქმეებზე ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ მატჩისას დროზდოვმა მოცელა. ახალგაზრდა ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმების გავლა მოუწევს, რის მერეც გაირკვევა, თუ როდის დაუბრუნდება იგი რკინიგზელებს. „სიჩოვი სათამაშო ეპიზოდში დაშავდა. დროზდოვს ძალით არ უთამაშია უხეშად, მაგრამ დმიტრის სერიოზული ტრავმა მიაყენა. ძალიან ვწუხვარ, რომ ერთხანს უმისოდ მოგვიწევს თამაში“ — განაცხადა „ლოკომოტივის“ თავკაცმა იური სიომინმა.

ინგლისური „ჩელსის“ ამჟამინდელ თავკაც კლაუდიო რანიერის ბედი კვლავ უცნობია. თუმცა იტალიელი გასულ შაბათს „ლიდსთან“ მატჩის შემდეგ ყველას წინასწარ გამოემშვიდობა. კლაუდიო რანიერი: „მინდა, ფეხბურთელებს დავემშვიდობო, რადგანაც შემდგომში ამის შანსი შეიძლება აღარ მომეცეს. მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი და დიდ მადლობას ვუხდი ყველას. ძალიან მადლიერი ვარ ქომაგების, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში, ჩემს სახელს გაიძახოდნენ და მთლიანად სეზონის მანძილზეც გვერდით მედგნენ. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება მომავალში, ინიციატივას რომან აბრამოვიჩს ვუტოვებ. ფაქტია, რომ შევძელით, „არსენალთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სათამაშო კლასში სხვაობა შეგვემცირებინა. ყველა შემთხვევაში, „ჩელსი“ ბრძოლისუნარიანი გუნდი იქნება. თუმცა მწყინს, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვან“.

ჰოლანდიელ ფორვარდ პიერ ვან ჰოიდონკს კარიერის „ფენერბაჰჩეში“ დასრულება და შემდგომში კლუბის მწვრთნელობა სწადია. „კონტრაქტის თანახმად, სტამბოლში კიდევ ერთი წელი უნდა გავატარო. თუ თამაში შემეძლება, კონტრაქტს კიდევ ერთი წლით გავახანგრძლივებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სათამაშო კარიერას დავასრულებ და მწვრთნელობას შევუდგები. ძალიან მოხარული ვიქნები თუ „ფენერბაჰჩეს“ ხელმძღვანელობა გუნდის თავკაცობას შემომთავაზებს. ამ წინადადებას დაუყოვნებლივ მივიღებ“ — აღნიშნა ჰოიდონკმა.

ინგლისური „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა განაცხადა, კლუბის ხელმძღვანელობა მართლაც ვერ შეუთანხმდა სილვენ ვილტორდს ახალი კონტრაქტის თაობაზე და ფრანგი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდებაო. ვილტორდი უკვე ეძებს ახალ კლუბს და დასტურდება ინფორმაცია მისი ბრემენის „ვერდერში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. „მოლაპარაკება მიმდინარეობს, ამ ტრანსფერით ორივე მხარეა დაინტერესებული“ — აღნიშნა „ვერდერის“ სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა.

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები

18 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	023	ვესტ ჰემი-იფსვიჩი	1,75	3,2	4,4	1,13	1,25	1,85

ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები

19 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	024	ბრისტოლი-ჰარტლპული	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	025	ბრაიტონი-სუინდონი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69

ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები

19 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	026	ჰადერსფილდი-ლინკოლნი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	027	მენსფილდი-ნორთჰემპტონი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49

ჰოლანდია. პლეი-ოფი

19 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	106	სპარტა-ვიტესი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38
23.00	107	ვენლო-ჰელმონდი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
23.00	108	გრააფსხაპი-ექსელსიორი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
23.00	109	ჰერაკლესი-ვოლენდამი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49

ბელგია. II კლასი. პლეი-ოფი

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	115	ტუბეკე-ბეელი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
23.00	116	რუზელარე-ოსტენდე	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42

ავსტრია. ბუნდესლიგა. XXXVI ტური

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	120	ადმირა-ვრაცერი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
20.00	121	აუსტრია-კერნტენი	2,0	3,6	2,0	1,28	1	1,28
20.00	122	პაშინგი-მატერსბურგი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
20.00	123	ზალცბურგი-რაპიდი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
20.00	124	შტურმი-ბრეგენცი	1,25	4,0	7,5	1	1,07	2,6

შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩი

19 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	137	შო დე ფონი-ვადუცი	3,6	3,4	1,6	1,74	1,1	1,08

შვედეთი. ალსვენსკა. VIII ტური

18 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	166	იურგორდენი-გიოტებორგი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	167	იორგრიტე-ტრელებორგი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64

ნორვეგია. ტიპელიგა. VII ტური

19 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	189	ვოლერენგა-რუსენბორგი	3,2	3,3	2,05	1.62	1,24	1.26

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	190	ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	191	ტრომსიო-მოლდე	1,9	3,3	3,5	1,2	1.23	1,69
21.00	192	სოგნდალი-ვიკინგი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1.49
21.00	193	ჰამარი-ფრედრიკსტადი	1,8	3,3	3,8	1,16	1.22	1.76
21.00	194	ბოდიო გლიმტი-ლინი	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62
23.05	195	სტაბეკი-ბრანი	2,45	3,3	2,45	1,4	1.22	1,4

ნორვეგია. I დივიზიონი. VII ტური

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	207	ალესუნდი-ტრომსდალენი	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.00	208	ჰაუგესუნდი-ჰიოდი	1,7	3,6	3,8	1,15	1.17	1,84
21.00	209	ჰიონეფოსი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,6	4,0	4,2	1,14	1.15	2,04
21.00	210	კონგსვინგერი-რაუფოსი	1,35	4,4	6,5	1,03	1.11	2.62
21.00	211	მოსი-ბრინი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
21.00	212	სკეიდი-მანდალი	2,15	3,6	2,6	1.34	1,17	1.5
21.00	213	სტარტი-სანდეფიორდი	1,8	3,6	3,3	1.19	1,16	1.72
21.00	214	სტრიომსგოდსეგი-პორს გრენლანდი	1.5	3,8	5,3	1,07	1,16	2.21

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. IV ტური

20 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	227	ჰიკ-ჰაკა	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
20.00	228	ვეზი-ჰაამეენლინა	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
20.30	229	ლაჰტი-კტპ	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
20.30	230	იარო-მიუპა	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
20.30	231	ტპ 47-ინტერი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
20.30	232	ტურკუ-ალიანსი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37

უკრაინა. პრემიერლიგა. XXV ტური

18 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	286	დინამო-ზაპოროჟიე	1,15	5,0	9,0	1	1,01	3,21

სლოვაკეთი. I ლიგა. XXXI ტური

18 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	297	პეტრუალკა-ბ.ბისტრიცა	2,5	3,0	2,4	1,36	1,22	1,33
20.00	298	ტრნავა-დუბნიცა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
20.00	299	რუუომბეროკი-სლოვანი	1,6	3,5	4,0	1,09	1,14	1,86
21.00	300	ტრენჩინი-პუხოვი	1,65	3,4	3,8	1,11	1,15	1,79

19 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	301	ინტერი-ჟილინა	2,9	3,0	2,2	1,47	1,25	1,26

პოლონეთი. I ლიგა. XXIV ტური

21 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.00	316	ლეჩნა-ვისლა	5,3	3,6	1,45	2,14	1,13	1,03

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 მაისი						
22.00	317	ოდრა-ეურნიკი	1,8	3,0	3,8	1,12	1,22	1,67
22.00	318	პოლონია-პოლკოვიცე	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
22.00	319	სვიტი-ლეხი	1,6	3,6	3,0	1,1	1,04	1,63
22.00	320	კატოვიცე-ამიკა	2,8	2,3	2,5	1,26	1,32	1,19
23.00	321	გროცლინი-ლეგია	2,8	2,9	2,4	1,42	1,29	1,31
		23 მაისი						
18.00	322	ვიძევი-პლოცკი	2,0	3,4	2,35	1,25	1,08	1,38
		აშშ. MLS						
		გადადებული მატჩი						
		19 მაისი						
04.30	395	ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი	2,3	3,0	2,7	1,3	1,24	1,42
		ინგლისი. თასი. ფინალი						
		22 მაისი						
18.00	002	მანჩესტერი-მილუოლი	1,28	4,6	10,0	1	1,13	3,15
		შოტლანდია. თასი. ფინალი						
		22 მაისი						
19.00	410	დანფერმლაინი-სელტიკი	9,0	5,0	1,25	3,21	1,09	1
		ჰოლანდია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
21.00	411	ტვენტე-უტრეხტი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		ბელგია. თასი. ფინალი						
		23 მაისი						
19.00	412	ბეევერენი-ბრიუგე	5,6	3,6	1,5	2,19	1,18	1,05
		ავსტრია						
		თასი. ფინალი						
		23 მაისი						
19:30	413	გრაცერი-აუსტრია	2,6	3,1	2,45	1,41	1,26	1,36
		დანია. თასი. ფინალი						
		20 მაისი						
18.00	414	ოლბორგი-კოპენჰაგენი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
		ჩეხეთი. თასი. ფინალი						
		18 მაისი						
19.25	420	სპარტა-ბანიკი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
		ხორვატია. თასი. ფინალი II მატჩი						
		19 მაისი						
21.15	421	დინამო-ვარტეკსი	1,25	4,4	8,0	1	1,08	2,83
		სლოვენია. თასი. ფინალი I მატჩი						
		19 მაისი						
21.00	422	მარიბორი-დრავოგრადი	1,2	4,6	9,0	1	1,05	3,04

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		პოლონეთი. თასი. ფინალი I მატჩი						
		18 მაისი						
22.30	423	ლეხი-ლეგია	2,5	3,0	2,5	1,35	1,25	1,56
		უეფას თასი. ფინალი						
		19 მაისი						
23.45	001	ვალენსია-მარსელი	1,95	3,0	4,0	1,18	1,31	1,71
		ამხანაგური მატჩები						
		20 მაისი						
19.00	451	საფრანგეთი-ბრაზილია	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
		21 მაისი						
14.30	452	ავსტრალია-თურქეთი	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
		თასის აღება						
		19 მაისი						
23.45	7001	ვალენსია-მარსელი	1,4	2,4				
		22 მაისი						
18.00	7002	მანჩესტერი-მილუოლი	1,1	5,0				
		ჰოკეი. NHL						
		18 მაისი						
04.30	1002	ტამპა ბეი-ფილადელფია	1,95	3,5	3,0	1,25	1,18	1,61
		კალათბურთი. იტალია						
		18 მაისი						
23.30	1052	სკავოლინი-ნაპოლი	1,3	10,0	2,6	1,15	1	2,06
23.30	1053	ბენეტონი-კანტუ	1,1	10,0	5,0	1	1	3,33
23.30	1054	სიპერი-რომა	1,15	10,0	3,6	1,03	1	2,64
		კალათბურთი. ესპანეთი						
		20 მაისი						
23.30	1071	ტაუ-ესტუდიანტესი	1,2	10,0	3,2	1,07	1	2,42
		21 მაისი						
23.30	1072	ბარსელონა-უნიკახა	1,2	10,0	3,2	1,07	1	2,42
		კალათბურთი. საბერძნეთი						
		19 მაისი						
21.00	1080	ირაკლისი-პანათინაიკოსი	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45
23.00	1081	აეკ-მარუსი	1,55	10,0	2,0	1,34	1	1,66
		კალათბურთი. NBA						
		18 მაისი						
05.00	1093	მაიამი-ინდიანა	2,2	10,0	1,5	1,8	1	1,3
		19 მაისი						
04.00	1094	მინესოტა-საკრამენტო	1,4	10,0	2,4	1,22	1	1,93

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაკაზუსტეთ

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წესი ზაგებულად ჩაითვლება)

5401	ვალენსია-მარსელი	1,7	2,2
5402	მანჩესტერი-მილუოლი	1,25	3,7

გაიტანს თუ არა ორივე ბუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5301	ვალენსია-მარსელი	1,7	1,9
5302	მანჩესტერი-მილუოლი	1,75	1,85

I ტაიმის შედეგი

5001	ვალენსია-მარსელი	2,4	2,0	4,4	1.09	1,55	1.37
5002	მანჩესტერი-მილუოლი	1,4	3,3	8,0	1	1,19	2,33

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201	ვალენსია-მარსელი	1,6	2,0
5202	მანჩესტერი-მილუოლი	2,1	1,55

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	ვალენსია-მარსელი	2,9	10,0	20,0	3,8	4,2	7,0	20,0	10,0	6,0
5102	მანჩესტერი-მილუოლი	1,5	15,0	40,0	3,5	6,0	18,0	20,0	17,0	17,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	ვალენსია-მარსელი	3,0	2,8	2,0
5502	მანჩესტერი-მილუოლი	3,0	2,8	2,0

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ივნისი						
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
		13 ივნისი						
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		14 ივნისი						
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		15 ივნისი						
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		16 ივნისი						
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		20 ივნისი						
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		21 ივნისი						
23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
		22 ივნისი						
23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		23 ივნისი						
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.იადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.ვერ.ბავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.იადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.ვერ.ბავა
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი 12.00

8001 გამარჯვებული		8201 ექვსეული		8301 უსწრ. წრე
მ.შუმახერი	1,45	1,07	1,03	1,6
ბარიჩელო	7,0	1,7	1,12	4,0
მონტოია	7,0	1,7	1,12	4,0
რ.შუმახერი	15,0	3,5	1,2	8,0
კულტჰარდი	30,0	6,0	1.4	15,0
რაიკონენი	30,0	6,0	1,4	15,0
ტრული	25,0	5,0	1,2	10,0
ალონსო	10,0	2,3	1,15	7,0
ბატონი	6,0	1,55	1,1	4,0
სატო	35,0	7,0	1,55	20,0
ფიზიკელა	100,0	25,0	3,5	40,0
მასა	150,0	30,0	4,0	50,0
უებერი	75,0	12,0	2,3	30,0
კლიენი	150,0	30,0	4,0	50,0
და მატა	150,0	30,0	4,0	50,0
პანისი	150,0	30,0	4,0	50,0
ჰაიდფელდი	300,0	50,0	7,0	75,0
პანტანო	300,0	50,0	7,0	75,0
ბრუნი	500,0	100,0	12,0	100,0
ბაუმგარტნერი	500,0	100,0	12,0	100,0

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის
ლიგა

ფეხბურთი
დავით ყიფიანის თასის ფინალი
დინამო თბილისი

vs

ბორპედო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა

წლინახევრის ფოტო: კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი
და ნაკრების ახლადდანიშნული თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი

გურამ დოლაძე/ჯაბა ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაცია ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს

„დინამოსა“ და ნაკრების ხორვატ თავკაცს დრაჟენ ბრაიკოვიჩს არაერთხელ უთქვამს, კლუბში ლეგიონერს თუ ჩამოვიყვან, ის 2-3 თავით მაღლა უნდა იდგეს აქაურზე, ისე ხარჯის გაწევას რა აზრი აქვსო. იგივეს თქმა შეიძლება მწვრთნელზეც — თუ უცხოელი სპეციალისტი შინაურს ვერ სჯობს, უმჯობესია, საერთოდ არ ჩამოიყვანო. „დინამოში“ ბრაიკოვიჩის 15-თვიანმა მუშაობამ ვერაფრით გამოაჩინა, რომ ის ქართველ მწვრთნელებზე 2-3 თავით მაღლა დგას. ის კი არა, ხორვატს საერთოდაც უარყოფითი ბალანსი აქვს „ბასკოს“ თავკაც ნუგ ზარ კანდელაკთან, ვის ზე უკეთესი შემადგენლობაც ჰყავს და პირობებითაც ბევრად დალხენილია. ამას ხალხიც ამჩნევს და, ცხადია, ფედერაციაც, რომელმაც თურმე უკვე დაიწყო ნაკრებისთვის ბრაიკოვიჩის შემცვლელის ძიება. კანდიდატურა ახალი არ გახლავთ, 2 წლის წინ „ბასკოში“ მომუშავე, ახლა კი მოსკოვის ცსკა-ს ერთ-ერთ მწვრთნელ პაველ გოოგეს მოყვანას ადრეც აპირებდნენ ნაკრების სათავეში, თუმც საბოლოოდ ბრაიკოვიჩზე შეაჩერეს არჩევანი. ახლა კი ირკვევა, რომ...

შეცვლაზე შემოდის პაველ გოოგე!

— გამარჯობათ, პაველ ედმუნდოვიჩ, გავიგეთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია კვლავ დაინტერესებულა თქვენით...

— ეს ახალი ამბავი არ არის, მეხომ თქვენი ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი ვიყავი.

— იყავით, მაგრამ თურმე ისევ ხართ. გავიგეთ, ბრაიკოვიჩის ნაცვლად შესაძლოა, გოოგეს ჩააბარონ საქართველოს ნაკრებიო. რას იტყვით ამის შესახებ, თუ დაგიკავშირდათ ვინმე?

— პირადად მე ჯერ ვერავინ დამიკავშირდება, რადგან ცსკა-ში ვარ დაკავებული და თუ ვინმეს სურს ჩემთან საქმიანი ურთიერთობის გაბმა, კლუბის ხელმძღვანელებს უნდა ელაპარაკოს. იმას კი გეტყვით, რომ ჩემით ნამდვილად არიან საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში დაინტერესებულები, თბილისიდან არაერთხელ დაუკავშირდნენ ცსკა-ს ხელმძღვანელებს. და მზადყოფნა გამოთქვეს, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემთან მოლაპარაკებები დაიწყოთ.

— კონკრეტულად ვის ელაპარაკნენ?

— იმისთვის, რომ მე და ქართულ მხარეს შორის მოლაპარაკება დაიწყოს, ცსკა-ს პრეზიდენტისა და მთავარი მწვრთნელის თანხმობაა საჭირო. საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან კი, როგორც ვიცი, ჯერჯერობით მხოლოდ ცსკა-ს აღმასრულებელ დირექტორ გუშჩენკოს დაუკავშირდნენ. ეს მე თავად გუშჩენკომ მითხრა. შესაძლოა, სხვებთანაც დარეკეს. ალექსანდრ გომელსკისა და დუშან ივკოვიჩს ჩემთვის ამის თაობაზე არაფერი უთქვამთ.

— ვინ დაურეკა გუშჩენკოს და რა ილაპარაკეს?

— კონკრეტულად ვინ დაურეკა, არ ვიცი, მიზანი კი ის იყო, რომ ჩემთან მოლაპარაკება დაიწყოთ საქართველოს ნაკრების ჩაბარებასთან დაკავშირებით, რაზეც გუშჩენკომ ასე უპასუხა: შესაძლებელია, გოოგემ საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს, ოღონდ თქვენთან მუშაობამ მას ცსკა-ში ხელი არ უნდა შეუშალოს, ყველაფერი ორივე მხარის ინტერესების დაცვით უნდა მოხდესო.

— ესე იგი, თუ საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებთ, პარალელურად ცსკა-შიც იმუშავებთ?

— ჯერ არავინ იცის, ჩავიბარებ თუ არა საქარველოს ნაკრებს, მაგრამ თუ ასე მოხდა, ცსკა-შიც ვიმუშავებ. ეს უკვე საქართველოს კალათბურთის ფედერაციაზეა დამოკიდებული, ისურვებს თუ არა, რომ ნაკრების თავკაცმა პარალელურად უცხოურ კლუბშიც იმუშაოს.

— თქვენ რა აზრისა ხართ, გსურთ ჩვენი ნაკრების გაწვრთნა?

— არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა. მე ამ ზაფხულს ცსკა-ს საწვრთნელ პროცესს უნდა ვუხელმძღვანელო და თუ საქართველოს მხარესთან დავიწყებ მოლაპარაკებას, მხოლოდ ამის შემდეგ. ვერც იმას გაგიმხელთ, მსურს თუ არა თქვენი ნაკრების ჩაბარება, რადგან ამან შესაძლოა, მოსალოდნელ მოლაპარაკებებზე იქონიოს გავლენა. იმას კი გეტყვით, რომ მე ძალიან სიმპათიურად ვარ განწყობილი ქართული კალათბურთისა და საერთოდ საქართველოსადმი.

— თუ ამ ზაფხულში დაკავებული ხართ, მერე დაგვიანებული იქნება საქართველოს ნაკრების ჩაბარება, სექტემბერში ჩვენ საკვალიფიკაციო ტურნირის 3 მატჩი გველის...

— ეგ უკვე სხვა პრობლემაა, გააჩნია მოლაპარაკებას და შემოთავაზებულ პირობებს. ყველაფერი შეიძლება მოხერხდეს.

— ესე იგი, მზად ხართ მოლაპარაკების დასაწყებად...

— მზად ვიქნები მაშინ, თუ ეს ცსკა-ს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოხდება. ასეთ შემთხვევაში თანახმა ვარ, თბილისშიც ჩამოვიდე, მაგრამ, როგორც გავიგე, თუ საბოლოოდ გადაწყვიტეს ჩემთან საქმის დაჭერა, თქვენი ფედერაციის მესვეურები მოსკოვში ჩამოვლენ.

— ბოლოს როდის დაგიკავშირდნენ თბილისიდან?

— მაგას ვერ გეტყვით, რადგან ვინც დარეკა, იმ ხალხს ჩავაყენებ უხერხულ მდგომარეობაში.

— ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპი კარზეა მომდგარი და ახლა რომ ჩვენი ნაკრები ჩაიბაროთ, მოასწრებთ მის სათანადოდ მომზადებას?

— სიმართლე თუ გინდათ, ახლა საქართველოს ნაკრებს იმხელა პოტენციალი აქვს, რომ მისთვის მაღალი დონის სპეციალისტის პოვნაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუნდს ხეირიანი მოსამზადებელი პირობები შეუქმნან. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ნაკრებს მე გავწვრთნი თუ ბრაიკოვიჩი, მთავარია, გუნდს კარგი სავარჯიშო პირობები ჰქონდეს. და, რაც მთავარია, ხანგრძლივი უცხოური შეკრება გაიაროს, სადაც ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს.

— თქვენი უპირველესი პირობაც ალბათ სწორედ ეს იქნება ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ.

— რა თქმა უნდა, თუმც სრულყოფილი პირობების შექმნას მხოლოდ კალათბურთის ფედერაცია ვერ გასწვდება. სახელმწიფოს მხარდაჭერაა საჭირო და ახლა ამის კარგი შანსი არსებობს. მე მომწონს თქვენი საოცრად პრინციპული და სამართლიანი პრეზიდენტი, რომელიც ახალგაზრდული ენერგიით მილტვის იმ ღირებულებებისკენ, რაც საქართველოს პრესტიჟს აამაღლებს მთელ მსოფლიოში. ერთ-ერთი ასეთი ღირებულება სპორტია და მით უმეტეს, სათამაშო სახეობები. ქართველებს ყოველთვის გყავდათ დიდი ოსტატობისა და შესაშური იმპროვიზაციის მქონე სპორტსმენები, მხოლოდ საქმის სწორი მიმართულებით წაყვანა გესაჭიროებოდათ და დიდ სიმაღლეებსაც შესწვდებოდით. ახლა ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რომ მიხეილ სააკაშვილი კალათბურთით დაინტერესოთ. უფრო სწორად, დაარწმუნოთ, რომ სპორტის ამ სახეობაში ნამდვილად შეგწევთ უნარი, უმაღლესი ტიტულებისთვის იბრძოლოთ. მართალია, დღეს თქვენს მთავრობას ბიუჯეტში ფული არ ჰყოფნის, ხელფასებისა და პენსიების დარიგება უჭირს, მაგრამ ისიც ხომ ერთ დიდ რამედ ღირს, ათასობით ქართველი ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებულ ეროვნულ ნაკრებს ტაშის გრიალით რომ შეეგებება აეროპორტში. მერწმუნეთ, საქართველოს ნაკრებს ამის უნარი შესწევს. ამისთვის მართლაც ღირს ქვეყნის პრეზიდენტის შეწუხება.

ირაკლი პერტაია

ევროპის ჩემპიონატი

თურქეთი. ანთალია. 14–31 მაისი

შუქი მოვიდა, რა კარგია!

ევროპის მეხუთე ჩემპიონატზე ვაჟთა თამაშები 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო და ეს მცირე შეფერხება ენერგობლოკის აფეთქებამ გამოიწვია. შუაღამით, როცა მოჭადრაკეები პირველობის საზეიმო გახსნას ცეკვა-თამაშით აღნიშნავდნენ, შენობიდან 100 მეტრის დაშორებით ენერგიის მომწოდებელი მთავარი წყარო აფეთქდა და დარბაზი უკუნმა მოიცვა. თურქი ოპერმუშაკები მსწრაფულ გაჩნდნენ შემთხვევის ადგილზე, მთელი ღამე ბნელში თვალმოუხუჭავად იმუშავეს და ენერგიის მიწოდება თითქმის დათქმული დროისთვის აღადგინეს. ისე იყოჩაღეს, მოჭადრაკეებს თამაშების დასაწყებად მხოლოდ 10 წუთიანი ლოდინი მოუწიათ.

ჩემპიონატი გამარჯვებებით დაიწყო ჩვენმა ორივე დიდოსტატმა — ბაადურ ჯობავამ და ზვიად იზორიამ. გათამაშებაში მონაწილე 79 მოჭადრაკეს შორის რეიტინგით ისინი შესაბამისად მე-9 და 21-ე ადგილზე არიან და დასაწყისში იოლ მეტოქეებთან მოუწიათ ჭიდილმა.

ჯობავა 47-ე ნომრად მყოფ ავსტრიელ მარტინ ნიუბაუერს შეხვდა და პარტია c4-ით დაიწყო. მეტოქეები თავიდანვე საკუთარი ფლანგების გამაგრებას შეუდგნენ. მეექვსე სვლაზე ავსტრიელი ქართველის დივიზიას შავი მხედრებით მიუხტა, თუმც იერიში არც ისე მწვავე გამოუვიდა და ჯობავამ მალევე მოიგერია იგი. შემდეგ ქართველი მსუბუქი ფიგურებით ეკვეთა მტრის მოიერიშე კავალერიას და ცენტრში შავ-თეთრი ბრძოლა გაჩაღდა. შეტაკებაში ქართველმა იოლად აჯობა სუსტ მეტოქეს და 26-ე სვლაზე დამარცხება აღიარებინა.

გამარჯვების მისაღწევად თითქმის ორჯერ მეტი სვლა დასჭირდა იზორიას. თუმც, ჯობავასგან განსხვავებით, მას უფრო სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, 61-ე ნომრად განთესილი თურქი ემრე კარადენიზი. თამაში ქართველის უპირატესობით წარიმართა, 36-ე სვლაზე იგი პაიკით გავიდა წინ და მომდევნო 20 სვლაში გამარჯვებაც დიდად არ გასჭირვებია.

წარუმატებელი არ ეთქმის მეორე ტურსაც. ჯობავამ შავი ფიგურებით რუმინელ მირჩა პარლიგრასს მოუგო და ორი ქულით მეხუთე ადგილზე აღზევდა. იზორიამ კი ბულგარელ ჯულიან რადულსკისთან გაიყო ქულა და ჯერჯერობით 21-ე ადგილზე იმყოფება.

ლაშა გეგეჭკორი

ბაადურ ჯობავა

2004 NBA Playoffs

16 მაისი

აღმოსავლეთი

დეტროიტი 3:3 ნიუ ჯერსი

ნიუ ჯერსი 75:81 დეტროიტი

ნიუ ჯერსი: კიდი (11), კიტლზი (11), ჯეფერსონი (23), მარტინი (19), კოლინზი (3); უილიამსი (4), ჰარისი (2), როჯერსი (2), სკალაბრინი

დეტროიტი: ბილაფსი (11), ჰამილტონი (24), პრინსი (6), რ. ვოლესი (14), ბ. ვოლესი (6 ქულა, 20 მოხსნა); ჰანტერი (8), ოქური (5), ჯეიმსი (5), უილიამსონი (2), ჰემი

დასავლეთი

მინესოტა 3:3 საკრამენტო

საკრამენტო 104:87 მინესოტა

საკრამენტო: ბიბი (16 ქულა, 10 მოხსნა), კრისტი (16), სტოიაკოვიჩი (22), ვებერი (14), დივაცი (6); მილერი (17), ბაფორდი (4), პილერი (4), სმიტი (2)

მინესოტა: კასელი (16), ჰასელი, სპრიუელი (27), გარნეტი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი; შჩერბიაკი (12), ჰოიბერგი (10), მადსენი (3), მარტინი, ტრენტი

ბენ ვოლესმა და მისმა „დეტროიტმა“ „ნიუ ჯერსის“ ანგარიში გაუთანაბრეს

REUTERS ჰამბურგიდან

როჯერ ფედერერმა გილერმო კორიას ჰამბურგის მასტერსტიტული ჩამოართვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ჩემი ჯერია
როჯერს თავისა სჯერა

მასტერსის სერია

ჰამბურგი. თიხნარი

საპრიზო 2,425 მილიონი ევრო

ფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **გილერმო კორია** (2, არგენტინა) **4:6, 6:4, 6:2, 6:3**

როჯერ ფედერერზე წლეულს უკვე იმდენი სახოტბო და საქებარი სიტყვა გვითქვამს, ახლა ამ ყველაფრის თავიდან დაწყებასა და გამეორებას აღარ მოვყვებით. ამ 22 წლის უდახვეწილესი და მრავალუნარიანი კაცისადმი ჩვენს მოწიწებას ჩვეულებრივ იმით გამოვხატავთ, რომ მას ამქრის ზეგარდმო პირველოსანს ვუწოდებთ ხოლმე. და ის ჩოგბურთი, რაიც მან წინა კვირაში ჰამბურგულ თიხნარზე აჩვენა, დასტურ ზეგარდმო და არაამქვეყნიური გახლდათ.

დარტყმათა მისეულ სრულ არსენალს, მატჩის მსვლელობისას ტემპისა და ტაქტიკის ცვლილების ნიჭსა და საერთოდ — მის ჰაეროვან სიმსუბუქესა და იმავდროულად ძალუმ გლაჯუნს კვირას ვერც გაუტეხელმა და ფეხმარდმა არგენტინელმა გილერმო კორიამ გაუძლო. შარშანდელ ჩემპიონ გაუჩოს გასული ზაფხულიდან მოყოლებული ზედიზედ 31 თიხნარშეხვედრაში ემარჯვა და რამის იოლად დამთმობი თითქოს არც არც ახლა ჩანდა, მაგრამ ერთი, პირველი მოგებული სეტის გარდა ვერაფერს გამორჩა.

ეს ერთი სეტიც იმას მოვანდომე, მეტოქის ბურთაობისთვის ალღო ამეღოო, ამბობდა ნამატჩევს ფედერერი და - შეგახსენებთ — 1998 წელს „ორანჯ ბოულის“ ფინალში თამაშის შემდეგ ეს ორი, ურთიერთს კბილა უნიჭიერესი მეჩოგნე ერთმანეთს აღარსად დაპირისპირებოდა.

ეგებ მათი პირველი საეიტიპიო ბრძოლა უფრო მძაფრიც გამომდგარიყო, კორიას კვირის განმავლობაში ფედერერზე უფრო რთული მატჩები რომ არ გადაეტანა. აკი არგენტინელიც სწორედ ამას იმიზეზებდა — ყველაფერი ფედერერის უკეთესმა ფიზიკურმა მდგომარეობამ გადაწყვიტაო.

ვნახოთ, მომავალი ორშაბათიდან ამქარი და, მასთან ერთად ჩვენც, პარიზულ სეფეთიხნარზე გადავინაცვლებთ და თუკი წლის მეორე სლემტურნირის მთავარფავორიტთა შორის ვინმე გვეგულება, ეგ უწინარესად სწორედ ზეგარდმო პირველოსანი და ჯიგრიანად მეომარი კორია.

ცხადია — ფედერერი პარიზში მაინც განსაკუთრებული განწყობით ჩავა. ჰამბურგში, სადაც შარშანწინაც ეპირველა, მან კარიერის მეთხუთმეტე, ხოლო წლის მეოთხე ტიტულთან ერთად მორიგი მსუყე, 467 ათასიანი ჩაროზიც მიითვალა. წლეულს ის მხოლოდ სამი მარცხის წილ უკვე 32 გამარჯვებას მოიძევს და თიხნარზეც ერთი მარცხის წილ უკვე ცხრა მოგება დაეკვეხება.

წინა წლებთან შედარებით ახლა გაცილებით უფრო მშვიდად ვარ და ზუსტად ვიცი, თუ როგორ უნდა სლემტიტულების შოვნაო, ამბობს ის და მის სიტყვებში ყველა ეჭვის შემტანს საქმის გასარჩევად როლანგაროსულ საჩოგნეთში ეპატიჟება.

TELEKOM ITALIA MASTERS

რომი. თიხნარი

საპრიზო 1,3 მილიონი ევრო

ფინალი

ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — **ჯენიფერ კაპრიატი** (5, აშშ) **3:6, 6:3, 7:6 (8:6)**

ფინალი მართლაც ჩინებული გამოდგა და მოსეირეთ კაი ბარაქიანი, ორსაათნახევრიანი და ხანგრძლივ-გათამაშებებიანი ჩოგბურთი იხილეს. ამაზე უფრო მძაფრი და ქულა-ქულა მატჩიც კი წარმოუდგენელიაო — იძახდა მერე 24 წლის გამარჯვებული დედათმავალი ამელი მორესმო — პირველი მოწოდებიდან ბოლო დარტყმამდე ორივემ დაუჯერებლად კარგად ვითამაშეთო.

კაპრიატის მესამე სეტში, 5:4-ზე ხელწაღმა რომ არ გაეცუდებინა და მატჩბურთი ზუსტად კორტში მოერტყა, ცხადია, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მაგრამ, რაკიღა ისტორია არა კავშირებითი, არამედ თხრობითი კილოთი იწერება, დღეს სწორედ ის უნდა დავწეროთ, რასაც ვწერთ კიდეც.

მორესმომ კარიერის მეთორმეტე, ხოლო წლის მეორე ტიტული მიითვალა და თავის ბიუჯეტსაც 189 ათასი დოლარით არგო. შეგახსენებთ — წინა კვირაში მან ბერლინურ თიხნარზეც იჩემპიონა და იქაურ ნახევარფინალში სწორედ კაპრიატის აჯობა. თავისზე ოთხი წლით უფროს ბუთქუნა ჯენის ის პირად დავაში უკვე 7:4 უგებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, უახლოეს მომავალში ბალანსს კიდევ ბევრ ვინმესთან გაიუმჯობესებს.

ლევან კელაურაძე

ახალციხე შოტოკანმა შეატოკა

ამ უქმეებზე ახალციხეში საქართველოს კარატედოს ეროვნული ფედერაციისა და ნავთობსადენ ბაქო-ჯეიჰანის თავკაცთა მხარდაჭერით საერთაშორისო ტურნირი გაიმართა შოტოკან კარატეში. მედლები 8-დან 21 წლამდე 10 ასაკობრივ ჯგუფში გათამაშდა.

ქართველებმა სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი თანატოლები აშკარად დაჯაბნეს და საპრიზო ადგილების უმრავლესობაც დაინაწილეს. გამოსარჩევი 10 წლის ლაშა ჯანგავაძის (კლუბი „დო“) გაჩემპიონება იყო. მან მეორე წრეში ტრავმა მიიღო, თუმც მაინც მოიგო და მომდევნო სამი ბრძოლაც ცალ ფეხზე მდგომმა ჩაატარა.

ტურნირი მთავრობამაც დააფასა. ახალციხეში შინაგან საქმეთა და სპორტისა და კულტურის მინისტრებიც ჩავიდნენ.

ლაშა ჯანგავაძე მწვრთნელ ზვიად ზვიადაურთან ერთად

ხალხო, მოდით გვნახეთ!

ფრენბურთელი გოგონები ქალებში გაერივნენ



გია ახალაძის ფოტო

დღეს საღამოს სპორტის სასახლეში ფრენბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაიწყება ქალთა შორის. საქართველოს ნაკრები ამ დონის შეჯიბრში პირველად მონაწილეობს და გულშემატკივრობაც განსაკუთრებული სჭირდება. ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ გამოუცდელ გუნდს ფინალურ ეტაპზე გასვლას ვერავინ მოსთხოვს, თუმც მაყურებლისთვის სპორტის ამ სახეობის შეყვარება მათსავე თავდადებულ თამაშზე იქნება დამოკიდებული.

ჯგუფში ჩვენი მეტოქეები მოლდოვას, სლოვენიის, ხორვატიისა და შვედეთის ნაკრებები არიან. მომდევნო ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსანი გადის, საუკეთესოს ორ წრედ გასამართი ჯგუფური შეხვედრები გამოავლენს.

„დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ამ დონის ტურნირში არასოდეს გვითამაშია და გუნდის შენებას, ფაქტობრივად, ახლა ვიწყებთ — გვითხრა ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა — ჩვენთვის მთავარია, მაღალი კლასის თამაში ვაჩვენოთ და გულშემატკივარი შევიძინოთ. მაყურებლის მოსაზიდად გადავწყვიტეთ, ბილეთები არ გაგვეყიდა. ფრენბურთის პოპულარიზაციისთვის ასე სჯობს.“

ახვლედიანს, ცხადია, შანსებზეც დავეკითხეთ და შევეტყვეთ, რომ შვედებს თბილისში ჩამოსვლამდე ერთი კვირა ჩეხეთში უვარჯიშიათ და საკონტროლო თამაშებიც ბლომად ჩაუტარებიათ. ასე რომ, გამოცდილებით უდიდეს უპირატესობას ფლობენ. ერთი უპირატესობა ქართველებსაც აქვთ, ეს საკუთარი კედლების ფაქტორია. გოგონები სპორტის სასახლეში მისულთ თავდადებულ თამაშს ჰპირდებიან.

ოთარ მაღლაკელიძე

ფეხბურთი

ჯიროს ეტაპი

ჰეტაკის ფრედი ეტაპკა

ფრედ როდრიგესი

პოლიკოროდან კარავინომდე გაჭიმული 142-კილომეტრიანი უმთაგრეხილო, სუსტად დაბორცვილი მე-9 ეტაპი ყველა ლოგიკით იტალიელთა ჯილას ალესანდრო პეტაკის უნდა მოეგო, ვისაც მანამდე თითქმის ყველა სპრინტიან ფინიშზე ემარჯვა, მაგრამ ვერ მიერთვა. სპრინტის მეფე საფინიშო სწორზე გაჩაღებულ ცხარე რბოლაში სულ რაღაც რამდენიმე სანტიმეტრით ჩამორჩა ამერიკელ ფრედ როდრიგესს. კიდევ ერთი ჩაუქი სპრინტერი, ავსტრალიელი რობი მაკვეგესს. კიდევ ერთი ჩაუქი სპრინტერი, ავსტრალიელი რობი მაკვეგესი, რა თქმა უნდა, პირველობისთვის დავაში გახლდათ გარეული და ეტაპი მეოთხემ დაასრულა.

კოლუმბიაში დაბადებული და ამერიკაში გაზრდილი როდრიგესი ველოსიპედზე კარგა ხანია, შტატების სახელით ზის და რამდენიმე წელია ჯიროშიც მონაწილეობს, მაგრამ კარგი ჩქაროსნული მონაცემების მიუხედავად იტალიაში აქამდე ეტაპიც ვერ მოეგო.

მე-10 ეტაპიც ვაკეზე და ამდენად სპრინტით დასრულდება. ველომრბოლელებს დასაწყისში თუ მოუწევთ რამდენიმე დაბალი მთის დაძლევა.

მე-9 ეტაპი. 17 მაისი. ფროზინონე — მონტევერჯინე. 214 კმ

1 ფრედ როდრიგესი (აშშ) აკუა & საპონე	4 სთ, 04 წთ, 38 წმ
2 ალესანდრო პატაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	
3 ანჯელო ფურლანი (იტალია) ალესიო-ბიანკი	იგივე დრო

სამრთო ჩათვლა

1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	41 სთ, 59 წთ, 15 წმ
2 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	+10 წმ
3 ფრანკო პელიკოტი (იტალია) ალესიო-ბიანკი	+28 წმ
4 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბოუკრედიტი	+31 წმ
5 ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიჩე პანარია	+52 წმ

ფეხბურთი

ინგლისი

I დივიზიონი. პლეი ოფი

სანდერლენდი 2:1 (4:ნპენ. 2:1დ.დ) *ქრ. პალასი*

შვედეთი

ალსვენსკა. VIII ტური

ჰამარბი 3:1 ლანდსკრონა

მალმიო 0:0 კალმარი

იორიებრო 2:1 აიკ

სუპერეტა. V ტური

გელფე 0:0 ბრომაროიკარნა

ჰოკეი

პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

16 მაისი

დასავლეთი

კალგარი 2:2 სან ხოსე

კალგარი 2:4 სან ხოსე

0:0 1:4 1:0

0:1 რატიე (23), 1:1 იგინლა (28), 1:2 ჩიჩუ (29), 1:3 დამფუსი (31), 1:4 მარლო (39)

დათვური სამსახური

კალგარი საკუთარმა ქომაგებმა დაღუპეს

იქნებ გაოცდეთ, მაგრამ „კალგარის“ მორიგი საშინაო მარცხის მიზეზი... კალგარელი მაყურებელი გახდა. კანადელები ხომ ამერიკელებთან შედარებით გაცილებით კარგად ერკვევიან ჰოკეიში და უფრო მომთხოვნებიც არიან. მათ უყვართ ლამაზი, კომბინაციური, შემტევი ჰოკეი, მაგრამ ძალისმიერ ბრძოლას უფრო აფასებენ.

კვირას „ალებს“ სურდათ, „წითელი ზღვისთვის“ (უკლებლივ ყველა კალგარელი ქომაგი თამაშზე გუნდის წითელ მაისურაშია გამოწყობილი) თავი მოეწონებინათ და თავიდანვე ბორტებთან ჯაჯგურსა და მეტოქის დაშინებას მიჰყვეს ხელი. მერე ისე გაიტაცა ისინი ამ ყველაფერმა, რომ თამაში მეორე პლანზე გადავიდა და ბოლოს სანანებელი გაუხდათ — მთელი ენერგია ძალისმიერ ბრძოლაზე შემოეხარჯათ და პირველ პერიოდში სამჯერ რიცხვმრავლობაში რომ მოხვდნენ, ხიფათიც ვერ შექმნეს მეტოქის კართან.

განკითხვის ჟამი მეორე პერიოდში დადგა. სანხოსელებმა მატჩი გონივრულად წარმართეს და თავკაც რონ უილსონის მითითებები ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს. 23-ე წუთზე მათ კარგი შანსი მიეცათ და მაიკ რატიემ შაიბა საშუალო დისტანციიდან დაბალ კუთხეში გაგზავნა. შემდეგ იღბალიც ჩაერია საქმეში. კალგარელთა ლიდერ ჯერომ იგინლას გოლის შემდეგ ტრიბუნებზე ზეიმი ჯერ არ დასრულებულიყო, რომ კვლავ „სან ხოსე“ დაწინაურდა. შაიბის დასაუფლებლად კარს უკან გასრიალებულმა მეკარე მიიკა კიპრუსოფმა ისე უგერგილოდ ითამაშა, ჯონათან ჩიჩუს ცარიელ კარში გატანის შანსი აჩუქა. ისედაც არაორგანიზებულად მოთამაშე მასპინძლებს ამის შემდეგ სულ აებნათ თავგზა და ორი სულელური ჯარიმაც დაიმსახურეს, რაც ვენსან დამფუსმა და პატრიკ მარლომ ბრწყინვალედ გამოიყენეს. ამის შემდეგ მესამე პერიოდი მხოლოდ ფორმალობად იქცა.

გრეცკი და ლემიე დაძმობილდნენ, გაუდგებიან გზასა

30 სექტემბერს ჰოკეში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი დაიწყება — მსოფლიოს თასი. ოლიმპიადასთან ერთად, მხოლოდ აქ შეიძლება ვიხილოთ პლანეტის უძლიერესი ნაკრებები თავიანთი უძლიერესი შემადგენლობებით.

არსებული წესის თანახმად, წამყვანმა ქვეყნებმა მაისის ბოლომდე უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი შემადგენლობები. პირველები აქაც კანადელები აღმოჩნდნენ — შაბათს კალგარიში გუნდის გენერალურმა მენეჯერმა „დიადმა“ უეინ გრეცკიმ აუწყა სია საზოგადოებას ნაკრების წევრთა ვინაობა ჩამოუსახელა. საინტერესო ისაა, რომ ნაკრებში მოხვდა უბერებელი მარიო ლემიე და ვერ მოხვდა ტოდ ბერტუცი.

მართალია, ლემიე ბოლო ხანებში ფორმაში ვერ არის და ტრავმებიც აწუხებს, მაგრამ უეინ გრეცკის სწამს მისი. „არა გვგონია, მარიოს რაიმე სირთულეებმა შეუშალონ ხელი“ — თქვა ერთმა დიადმა მეორეზე.

„ვანკუვერის“ ფორვარდი ტოდ ბერტუცი კი ნაკრებს მიღმა დისკვალიფიკაციის გამო დარჩა. თან სექტემბერში ნჰლ-ის კომისიონერმა გერი ბეტმენმა პირადად უნდა გადაწყვიტოს მომავალ სეზონში ბერტუცის დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი და გრეცკიც ნჰლ-ის წინააღმდეგ არ წავიდა.

ცხადია, კანადას იმდენად მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდა, რომ სია ყველა ვარსკვლავს მაინც ვერ დაიტევდა. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ნაკრებში პოლ კარიას, ერიკ ლინდროსს, კეიტ პრიმოსა და სხვა ცნობილებს ვერ ვიპოვით. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდში 2002 წლის ოლიმპიადის 13 გამარჯვებულია.

გთავაზობთ სრულ სიას:

მეკარეები: მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), ედ ბელფორი (ტორონტო), რობერტო ლუონგო (ფლორიდა)

მცველები: რობ ბლეიკი (კოლორადო), ადამ ფუტი (კოლორადო), კრის პრონგერი (სენტ ლუისი), ედ ჟოვანოვსკი (ვანკუვერი), სკოტ ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი), ერიკ ბრიუერი (ედმონტონი), რობინ რეჟე (კალგარი), უეიდ რედენი (ოტავა)

ფორვარდები: მარიო ლემიე (პიტსბურგი), სტივ აიზერმანი (დეტროიტი), ჯო საკიკი (კოლორადო), ჯერომ იგინლა (კალგარი), რაიან სმიტი (ედმონტონი), სიმონ განიე (ფილადელფია), დანი ჰიტლი (ატლანტა), პატრიკ მარლო (სან ხოსე), ჯო ტორნტონი (ბოსტონი), მარტენ სან ლუი (ტამპა), ბრედ რიჩარდსი (ტამპა), შეინ დოუნო (ფინიქსი), ბრენდან მოროუ (დალასი), კირკ მოლტბი (დეტროიტი), კრის დრეიპერი (დეტროიტი)

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფიროსმანაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge